პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

4 ნოემბერი სამშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი

№ 257 (14557)

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! განუხრელად აამაღლეთ შრომის ნაყოფიერება, იბრძოლეთ ნარჩოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა რაც შეიძლება მალე დანერგვისათვის! ბეჯითად დაეუფლეთ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ ცოდნას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან

1969 წლის გადამწყვეტი კვარტალი

ამდენიმე დღეც, და საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 52-ე წლისთავს იზეიმებენ. ახლინ, როგორც ყოველთვის, შეაჯამებენ ამ დიადი თარიღისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს და, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებით აღფრთოვანებულნი, ენთუზიაზმით განაგრძობენ ხუთწლედის მეოთხე წლის გადამწყვეტი, მეოთხე კვარტალის დავალებათა შესრულებას.

ორიოდე თვეღა დარჩა სამეურნეო წლის ბოლომდე. სწორედ ახლა, ამ ეტაპზე გამოჩნდება, თუ რას მიაღწიეს მიმდინარე წელს საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, როგორ შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი, მოუმზადეს თუ არა მტკიცე საფუძველი ხუთწლედის ბოლო წელიწადს, როცა ზეიმით უნდა აღინიშნოს დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი.

როგორც ახლახან პრესაში გამოქვეყნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობიდან ჩანს, საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა გადაჭარბებით შეასრულეს 9 თვის დავალება და წლის დამდეგიდან გეგმის გადამეტებით მოახდინეს 11 მილიონი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია. გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა 7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო პროდუქციის წარმოებისა — 8 პროცენტით. ეს ფაქტები გვიჩვენებენ, რომ მრეწველობის წამყვანი დარგების კოლექტივების მიმდინარე წლის შრომის ტემპი მაღალია. წარმოებაში ახალი ეკონომიური რეფორმის მტკიცედ დანერგვით, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით მნიშვნელოვნად გაზარდეს შრომის ნაყოფიერება ენერგეტიკოსებმა, მეშახტეებმა, მაღაროელებმა, მანქანათმშენებლებმა, მსუბუქი და კვების მრეწველობის მუშაკებმა.

ახლა ყველასათვის ნათელია, რომ წარმატებებს მიაღწიეს იმ კოლექტივებმა, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ტექნიკურ პროგრესს, წარმოებაში ნერგავდნენ შრომის მოწინავე მეთოდებს, მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციებთან. სწორედ ამ ფაქტორებმა განსაზღვრეს ჭიათურელ მაღაროელთა დიდი მიღწევები მიმდინარე წელს; ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილი შეჯიბრების ინიციატორებმა უკვე გადაჭარბებით გაანაღდეს ამ დიადი თარიღისათვის ნაკისრი ვალდებულებანი. ნაცვლად 450 ათასი ტონისა სამშობლოს მისცეს 456.720 ტონა ზეგეგმითი სახალონლო მარგანეცი. ინიციატორებს მხარდამხარ მიჰყვებიან თბილისის მაუდკამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“, თბილისის ბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივები. რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის — ქუთაისსს 15 საწარმომ უკვე შეასრულა მიმდინარე წლის გეგმა. მომავალი წლის ანგარიშზე ხუთწლედის ფონდში გადარიცხულია 10 მილიონ 807 ათასი მანეთი. ამაში დიდი წვლილი შეიტანეს „ქუთაისრიტის“ მაღაროთა სამმართველოს, სატრაქტორო ქარხნის, სამკერვალო ფაბრიკების კოლექტივებმა.

შრომის ნაყოფიერების ზრდისა და სამუშაო დროის ეფექტურად გამოყენებისათვის შრომის შესანიშნავ მაგალითს გვიჩვენებს ქუთაისის ბრეშუმის კომბინატის კოლექტივი, რომლებიც ახლა შრეკინოელთა გამოცდილების მიხედვით შრომობენ. პარტიული კომიტეტისა და ადმინისტრაციის ინიციატივით შექმნილი კომბინატისა და საამქროთა კომისიები, ეკონომიური ანალიზის და ნორმირების ბიუროები დიდ ღონისძიებებს ახორციელებენ საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, წარმოებაში ნერგავენ შრომის პროგრესულ ნორმატივებს, აფართოებენ მომსახურების ზონას. მარტო მიმდინარე წლის ცხრა თვეში აქ 700 კაცმა აიმაღლა კვალიფიკაცია, ხოლო 50-ზე მეტმა ფეიქარმა აითვისა მონათესავე პროფესიები. ამით ფეიქრებმა გასულ წელთან შედარებით 16,5 პროცენტით აამაღლეს შრომის ნაყოფიერება. შრეკინოელთა გამოცდილება თანდათან იკიდებს ფეხს რესპუბლიკის სხვა სამრეწველო კოლექტივებშიც.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა მთლიანად წარმატებით გაართვეს თავი ხუთწლედის მეოთხე წლის სამი კვარტალის დავალებებს, მნიშვნელოვანი ღონისძიებები განსახორციელეს მაღალეფექტური შრომის მიღწევისათვის, ცხრა თვის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები გვიჩვენებს, რომ მთელი რიგი კოლექტივების შრომის ენთუზიაზმი ჩამორჩება საერთო წინსვლის ტემპს. ზოგიერთი საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელები, პარტიული ორგანიზაციები გადამჭრელ ზომებს არ იღებენ შრომის რიტმის რეგულირებისათვის, საფრთხის წინაშე აყენებენ მიმდინარე წლის გეგმების შესრულებას.

პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის ცხრა თვის გეგმა მთლიანად არ შეუსრულებიათ რუსთავის მეტალურგიული კომბინატის, თბილისის ელმავალსამშენებლო, ჩარხსამშენებლო, ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნების, რუსთავის ქიმიური კომბინატის, ბათუმის სარეცხი მანქანების ქარხნის და სხვათა კოლექტივებს. კვლავ ჩამორჩებიან საშენ მასალათა და მსუბუქი მრეწველობის ზოგიერთი საწარმოები. დაჩქარებას მოითხოვს მიმდინარე წელს საექსპლოატაციოდ გადასაცემი სამრეწველო ობიექტების, აგრეთვე ენგურჰესის შშენებლობის ტემპი.

მთელმა რიგმა სამრეწველო საწარმოებმა გადაუდებლად უნდა დაიჩქარონ პროდუქციის გამოშვება. ეს განსაკუთრებით ეხება იმ კოლექტივებს, რომლებიც წინა კვარტალების გეგმის შეუსრულებლობით ვალში არიან სახელმწიფოს წინაშე.

ზამთარი ახლოვდება, დგება როგორც ეტყვიან, მუშაობისათვის არც ისე ხელსაყრელი პერიოდი. სწორედ ამიტომ არის ეს მონაკვეთი ძალიან პასუხსაგები. თვითეულ კოლექტივს უნდა ახსოვდეს, რომ საჭირო მასალებით, სათბობით მეურნეობის ყველა უბნის კომპლექსური მომარაგება, შრომის აღებული ტემპის შენარჩუნებისა და შემდგომი ზრდის მთავარი საფინდარია.

მაგრამ ამასთან ერთად არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წლის მიწურული მომავალსათვის ბევრ საზრუნავს გვიჩენს. ახლა მარტო მიმდინარე წლის დავალებათა შესრულებაზე ფიქრი აღარ არის საკმარისი, აქედანვე უნდა დავსახოთ მომავალი წლის შრომის პერსპექტივები, ნიადაგი მოვუმზადოთ ხუთწლედის ბოლო წელიწადს. გავითვალისწინოთ კოლექტივის ყველა შესაძლებლობანი, სრულად შევაფასოთ შიდარეზერვების მთლიანად გამოყენების ღონისძიებანი და მხოლოდ ამის შემდეგ შევიტანოთ ახლინ მომავალი სამუშაო წლის გეგმაში.

საწარმოთა ხელმძღვანელები, პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან მობილიზაცია გაუკეთონ მშრომელთა ენთუზიაზმს სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. თვითეულ კოლექტივს, მშრომელს უნდა ახსოვდეს, რომ ხუთწლედის მეოთხე წლის მაღალი მაჩვენებლებით დამთავრება მტკიცე საფუძველს შეუქმნის მომავალ 1970, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო წელს.

საოქტომბრო ლენინურ ვახტზე

შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

საოქტომბრო ვახტზე წარმატებას მიაღწია საქართველოს ქვანახშირის კომბინატის კოლექტივმა, რომელიც გამარჯვებული გამოვიდა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ზედიზედ მესამედ მოიპოვა სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროსა და ამავე სამინისტროს მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

კომბინატის საწარმოებმა მიმდინარე წლის 10 თვეში ჩვენი ქვეყნის მრეწველობას გეგმის გადამეტებით გაუგზავნეს 60 ათასი ტონა სათბობი.

ემზადებიან რა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ჭიათურის ლენინის ორდენოსანი მანგანუმის ტრესტის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები დიდი აღმავლობით შრომობენ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის.

სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს კოლეგიამ და მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილეს სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1969 წლის მესამე კვარტალის შედეგები.

გამარჯვებულთა შორის არის ჭიათურის მანგანუმის ტრესტის ახალი ითხვისის მაღაროთა სამმართველოს კოლექტივი. მას მიენიჭა სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

მეორე პრემიებით დაჯილდოვდნენ ჭიათურის მანგანუმის ტრესტისა და ამ ტრესტის დამხმარე საწარმოთა სამმართველოს კოლექტივები.

სსრ კავშირის გზათა სამინისტროს კოლეგიისა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე შეაჯამეს საწარმოთა და ორგანიზაციათა 1969 წლის მესამე კვარტალის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე ახალი დიდი საწარმოო გამარჯვება მოიპოვა ამიერკავკასიის რკინიგზის ერევნის განყოფილების კოლექტივმა, რომელმაც სოციალისტური შეჯიბრების ყველა პირობის გადაჭარბებით შესრულებისათვის ზედიზედ მეხუთედ მოიპოვა სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები მიენიჭათ თბილისის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის და კიროვაკანის სალოკომოტივო დისტანციის კოლექტივებს.

თავი გამოიჩინეს აგრეთვე სადგურ ნავთლუღისა და მაგისტრალის სამშენებლო ტრესტის კოლექტივებმა, რომლებმაც მეორე ფულადი პრემიები მოიპოვეს.

მესამე საკავშირო პრემია ხვდათ თბილისის სატვირთო სადგურის, ხაშურის ენერგომომარაგების უბნისა და ლენინაკანის სალოკომოტივო დეპოს კოლექტივებს. (საქდესი).

ქართული მუუაო

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ენგურის ქალაქდის კომბინატში წარმატებით ჩაიარა მუყაოს ფაბრიკის გამოცდამ. უკვე მიიღეს მუყაოს პირველი პროდუქცია, რომელიც თბილისსა და ბაქოს ქალაქდის ფაბრიკებში იგზავნება მუყაოს ყუთების დასამზადებლად. ფაბრიკის წლიური წარმადობა 27.500 ტონა მუყაოა.

ენგურის ქალაქდის კომბინატის კოლექტივმა ქართული მუყაოს გამოშვებით კარგი საჩუქარი უძღვნა საოქტომბრო დღესასწაულს.

ღრი ფაზტის მაგალითი

ტყიბული. (საკ. კორ.). ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივი (უფროსი ლ. ობოლაძე) წარმატებით შრომობს ქვანახშირის მოპოვების ხუთწლიანი დავალების ვადამდე განაღდებისათვის. საექსპლოატაციო უბნების ყველა მეშახტემ იკისრა გადიდებული ვალდებულებანი, რათა გახდეს ლენინური საიუბილეო სპარტაკიადის ღირსული მებელი.

შახტამ 28 დღით ადრე უპატაკა „შავი ოქროს“ მოპოვების ათი თვის სახელმწიფო დავალების შესრულება. ფაბრიკა-ქარხნებს უკვე გაეგზავნა 70 ეშელონი ზეგეგმითი სათბობი. ამ წარმატებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს საექსპლოატაციო უბნებმა, რომლებსაც სამთოელები უ. გურეშიძე, გ. ონიანი და შ. ჩუბინიძე ხელმძღვანელობენ.

მოწინავე შახტის მხარდამხარ მიაბიჯებს მეორე საწარმოც — სტალინის სახელობის შახტა (უფროსი გ. რაზმაძე). აქაურმა მეშახტეებმა ჯერ კიდევ 8 ოქტომბერს შეასრულეს საკოქსე ქვანახშირის მოპოვების 10 თვის დავალება. მრეწველობამ მიიღო 20 ათას ტონაზე მეტი ზეგეგმითი პროდუქცია. აქ ასობით მოწინავე მეშახტე დგას საოქტომბრო ლენინურ ვახტზე და საიუბილეო მედლის მოსაპოვებლად იბრძვის.

ახალგაზრდა მექანიკოსი

ცხინვალის ქარხანა „ემალსადენში“ ბელა ხარებოვა საუფალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდა. მოკლე დროში აითვისა მექანიკოსის პროფესია და დამოუკიდებლად დაიწყო „ს-24“ ტიპის ჩარხზე მუშაობა. ახლა ბელა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს ცვლის დავალებებს. ამხანაგებმა იგი ცვლის კომკავშირის მდივნად აირჩიეს.

ნურამუნ: ბ. ხარებოვა.

ფოტო ლ. გუსოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ბოლნისელთა წარმატება

ბოლნისის რაიონის მშრომელებმა, რომლებიც ჩაბმული არიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ. სოციალისტურ შეჯიბრებაში, ასალი წარმატება მოიპოვეს. მათ 31 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მიყიდვის წლიური გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 20.570 ცენტნერი ბოსტნეული ნაცვლად 20.100 ცენტნერისა. მათ შორის სახელმწიფოს მიეყიდა 11.690 ცენტნერი ხახვი.

სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მიყიდვა გრძელდება. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობებს პარტიის ბოლნისის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. სანიძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ალიმემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. გელერმა.

მზრალად მოხნულია 108,836 ჰექტარი

რესპუბლიკის მხვნელ-მთესველები ღღითიღღე აძლიერებენ მზრალად ხვნის ტემპს. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით სულ მზრალად მოხნულია 108.836 ჰექტარი. გეგმით უნდა მოიხნას 172.917 ჰექტარი.

მზრალად ხვნის გეგმები უკვე გადაჭარბებით შეასრულეს **გორის, დუშეთის, ბორჯომის, ამბროლაურის** რაიონებმა. ეს სამუშაო დასასრულს უახლოვდება **სამხრეთ ოსეთის** ავტონომიურ ოლქში. ახალქალაქის რაიონში მზრალად მოხნულია 15.611 ჰექტარი, ანუ გეგმის 70 პროცენტი.

მეგობრობის დიადი ქალა

SOWJETISCHE KULTURTAGE

TAGE DER KULTUR DER Georgischen SSR IN DER DDR 1.–10.11.1969

გაიხსნა საქართველოს კულტურის დღეები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბერლინი. (საქდესის სპეც. კორ.). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის დიდ დღესასწაულად გადაიქცა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საქართველოს კულტურის დღეების გახსნა. საზეიმოდ არის მორთული ბერლინის თეატრი „ფოლკსბიუნე“. წითელი ტრანსპარანტები გერმანულ, რუსულ და ქართულ ენებზე მიესალმებიან ძვირფას სტუმრებს.

აქ შეიკრიბნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სტუდენტები და მოსწავლეები. პრეზიდიუმში არიან გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ჰაგერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანელთა თავისუფალი პროფკავშირების გაერთიანების ცენტრალური გაგეთების თავმჯდომარე ჰ. ვარნკე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. აბუში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი პროფესორი გ. როდენბერგი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების მინისტრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ე. მილკე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრი კ. გიზი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის განყოფილების გამგე ა. ჰოპტერ, გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარე ლ. ბოლცი, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი ზ. მორი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილე, ამ სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების გამგე ო. ფიშერი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილე დ. ჰაინსკე, დიდი ბერლინის ობერ-ბურგომისტრის მოადგილის შემსრულებელი ჰ. ჰილბერტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილე კ. ბორკი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ბერლინის საოლქო ხელმძღვანელობის მდივანი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი რ. ბაუერი, გერმანიის გლეხთა დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ვ. გოლდენბაუმი, სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პ. ა. აბრასიმოვი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ი. თაქთაქიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე დ. ჩხიკვიშვილი, სსრ კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. კუბრაძე, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. მელაძე, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. კუპრავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული დეპეშათა საგენტოს — საქდესის დირექტორი ვ. ჭიაურელი, მწერალი კ. ლორთქიფანიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. ზაქარაიძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ლ. ელიავა და სხვები.

საზეიმო საღამო გახსნა ჯ. გიზიმ, რომელიც მხურვალედ მიესალმა ქართული კულტურის მოღვაწეებს და თქვა, რომ საქართველოს კულტურის დღეები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სახლთა ურღვევი ლენინური მეგობრობის კიდევ ერთი ბრწყინვალე დადასტურებაა.

ჯ. გიზიმ შეკრებილთა წარუდგინა საქართველოს სსრ ოფიციალური დელეგაცია, გააცნო საქართველოს მსატვრული კოლექტივების გამოსვლების ფართო პროგრამა.

საზეიმოდ ეღირს საბჭოთა კავშირის, საქართველოს სსრ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 20 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმს, თქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა კ. გიზიმ, ჩვენს რესპუბლიკაში ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიეცა. ჩვენთან სტუმრად იყვნენ დიდი თეატრის მსახიობები, საბჭოთა კავშირის ბევრი შესანიშნავი ანსამბლი. ამჯერად მოწმენი გავხდებით ახალი კულმინაციისა ჩვენს კულტურულ და მხატვრულ ურთიერთობაში — 400-ზე მეტი ხელოვნების მოღვაწე გერმანელ მშრომელებს გააცნობს ქართულ ხელოვნებას. ორივე რესპუბლიკის მეცნიერები მიიღებენ მონაწილეობას სხვადასხვა კონფერენციებში, ერთმანეთს გაუზიარებენ მუშაობის გამოცდილებას.

1967 წელს ჩვენი ხელოვნების მოღვაწენი და მეცნიერები იყვნენ საქართველოს სს რესპუბლიკაში, სადაც გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეები. ისინი ამ ქვეყნიდან ქართველი ერის უძველესი ხელოვნებისადმი დიდი პატივისცემის გრძნობით გამსჭვალული დაბრუნდნენ. მათ სამუდამოდ დაასამდათ ის დიდი სტუმართმოყვარეობა, რომლითაც ქართველები შეხვდნენ ჩვენს წარმომადგენლებს. ჩვენც ვიმედოვნებთ, რომ გადაგუხდით სტუმრებს პატივისცემას.

ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობა ამ დღეებში შეძლებს მეტი რამ გაიგოს საქართველოზე, მის ხელოვნებასა და მეცნიერებაზე, თუმცა ქართველი ხალხის დიდარ კულტურულ ტრადიციებს დიდი ხანია ვიცნობთ. ჩვენ ვიცით მსოფლიოს ერთ-ერთი ლიტერატურის — ქართული ლიტერატურის ფასი, ვიცნობთ ამ ლიტერატურის დიდ წარმომადგენელს შოთა რუსთაველს. ეს ასევე ეხება ქართულ სოციალისტურ ლიტერატურას, ტრადიციებით ეყრდნო მდიდარ ქართულ არქიტექტურას, მის უძველეს ხალხურ და თანამედროვე მუსიკას.

განსაკუთრებით მოხარული ვართ აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების განვითარების მაღალი დონის ფაქტობა ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების დემონსტრაციი იქნება.

უკვე ხუთი წელია საბჭოთა კავშირისა და ჩვენი რესპუბლიკის კულტურული ურთიერთობის შემადგენელ ნაწილად იქცა კულტურის დღეების მოწყობა. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ამან საესებით გამამართლა თავისი დანიშნულება და შემდგომში კიდევ უფრო დიდი გაკვანება მეეცემა. ამრიგად, კულტურის დღეები მიგვაჩნია უდიდეს პოლიტიკურ მოგებად, რომელსაც მასობრივი ხასიათი აქვს და რომელიც აღრმავებს ჩვენს მეგობრობასა და ძმობას.

ჯერ წარმოგვიდგენია ჩვენი რესპუბლიკის 20 წლისთავის დღესასწაული ჩვენი საბჭოთა ამხანაგებისა და მეგობრების მონაწილეობის მიუღებლად. და ჩვენ შეგვიძლია დღეს სრულიად გულწრფელად განვაცხადოთ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებისათვის გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობა საარსებო მნიშვნელობის ელემენტი გახდა. იგი ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქეთა გრანდიოზული სულიერი გარდაქმნის განუყოფელი ნაწილია. ეს კი ჩვენი 20 წლის სახელმწიფოს ყველაზე დიდი მიღწევაა.

როცა რუსეთის სფს რესპუბლიკაში ვიყავით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეებზე, ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ა. ნ. კოსიგინმა ჩვენი ხალხების მეგობრობას უწოდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ისტორიული მიღწევა, რომლითაც გამოიხატა მხოლოდ სოციალიზმის პირობებში შესაძლებელი ნამდვილი გრძნობები.

ჩვენი რესპუბლიკის შექმნიდანვე საბჭოთა კავშირის კულტურა და ხელოვნება ჩვენთვის დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდა და ასრულებს. თუ ამ დღეებში მოწმენი ვართ ჩვენი კულტურული ურთიერთობის ახალი აყვავებისა, ვიცით, რომ ამას საფუძველი ჩაუყარა თქვენს ქვეყანასთან კულტურულმა ურთიერთობამ, რომელსაც დასაბამი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მისცა. 1917 წლიდან რეალისტური სოციალისტური კულტურა და ხელოვნება მთელი მსოფლიოს კულტურისა და ხელოვნების პროგრესული განვითარების მთავარი მიმართულება გახდა.

საბჭოთა არმიის მიერ ჩვენი ქვეყნის ფაშიზმისაგან განთავისუფლების შედეგად, ჩვენი რესპუბლიკის დაფუძნების შედეგად შეიქმნა ჩვენი კულტურის განვითარების ახალი ეტაპის წანამძღვრები. ჩვენს დღევანდელ მიღწევებს, ჩვენს წარმატებებს უწინარეს ყოვლისა საფუძვლად უდგეს ჩვენი ხალხების მეგობრობა, რომელსაც თვალსაჩინო ფორმით გავუფრთხილდებთ და არავის მივცემთ უფლებას ხელყოს იგი.

თქვენი კულტურის დღეები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაემთხვა ჩვენი რესპუბლიკის 20 წლისთავის დღესასწაულს. ეს დღეები მიმდინარეობს მრრფებელთა და მთელი კაცობრიობის გენიალური ბელადის

(დასასრული მე-3 გვ.)

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. **გასანოვას** ზახიდე ისმაილ ყზის — საბჭოთა მეურნეობის მუშას, მარნეულის რაიონი.
2. **დავრიშევას** ლილბარ ჯალილის ასულს — მუშას, ქალაქ თბილისი.
3. **ჯულაყიძეს** გოგუცა გალაქტიონის ასულს — კოლმეურნეს, ვანის რაიონი.
4. **ომაროვას** ასლი მაგამედ ყზის — დიასახლისს, მარნეულის რაიონის სოფელი აზიჯანდი.
5. **უზუნაღლოვას** გიზეთიარ ნასიბ ყზის — დიასახლისს, წალკის რაიონის სოფელი ბრჯანან-სარვანი.
6. **უფლისაშვილს** ბარამინა ბარამის ასულს — კამოს სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, ქალაქი ჭიათურა.
7. **ქრისტოფოროვას** ბარტენა ნიკოლოზის ასულს — კოლმეურნეს, წალკის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ბ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი,
1969 წ. 31 ოქტომბერი.

მოსკოვში ჩამოვიდა სამხრეთ ვიეტნამის დელეგაცია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 3 ნოემბერს მოსკოვში ჩამოვიდა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე დოქტორი ნგუენ ხიუ თხო. (საკდესი).

• • •

ნგუენ ხიუ თხო დაიბადა 1910 წლის 10 ივლისს ქალაქ შოლონში (სამხრეთი ვიეტნამი) სახელმწიფო მოსამსახურის ოჯახში. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ნგუენ ხიუ თხო მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ადვოკატად.

ფრანგ კოლონიზატორთა წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ომის დროს ნგუენ ხიუ თხო დარჩა ოკუპირებულ ტერიტორიაზე და აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ნგუენ ხიუ თხო იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი საიგონ-შოლონის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა 1950 წლის 19 მარტის დიდი დემონსტრაციისა ამერიკის ჩარევის წინააღმდეგ. ამერიკის სამხედრო ხომალდების საიგონიდან გაყვანისათვის. ამის გამო იგი დააპატიმრეს და 1952 წლამდე საპყრობილეში იჯდა.

ნგუენ ხიუ თხო თვალსაჩინო როლს ასრულებდა სამხრეთ ვიეტნამის ხალხის მასების მობილიზაციაში ჟენევის 1954 წლის შეთანხმებათა დებულებების შესრულებისათვის. საბრძოლველად, საიგონ-შოლონის რაიონში დაარსა ორგანიზაცია „მოძრაობა მშვიდობისათვის“. იგი კვლავ დაპატიმრეს.

1961 წელს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მოიწვიეს ნგუენ ხიუ თხოს გაქცევა საპატიმროდან, და იგი კვლავ ჩადგა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა რიგებში.

სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პირველ ყრილობაზე 1962 წლის დამდეგს წგუენ ხიუ თხო ერთსულოვნად აირჩიეს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ, ხოლო 1964 წელს განთავისუფლების სახალხო ფრონტის მეორე ყრილობაზე კვლავ არჩეულ იქნა ამ პოსტზე და განთავისუფლების სახალხო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე გახდა.

სახალხო წარმომადგენელთა კონგრესზე, რომელიც ა. წ. 6-8 ივნისს მიმდინარეობდა ნგუენ ხიუ თხო დაამტკიცეს სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის საკონსულტაცი

აქტივობა სიმღვრივის ნიშანია

პარტორგანიზაციის მდივნის ტრიბუნა

კომუნისტთა აქტიურობის განვითარება, მათი ავანგარდული როლის ამაღლება მთელი პარტიული მუშაობის მთავარი საკითხია.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1965 წლის სექტემბერში განიხილა საკითხი „კომუნისტთა ავანგარდული როლის შემდგომი ამაღლების ღონისძიებათა შესახებ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით". მას შემდეგ სამ წელზე ცოტა მეტი დრო გავიდა. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთ მუშაობაში ხელმძღვანელობენ აღნიშნული პლენუმის დადგენილებით, სულ უფრო სრულყოფენ მუშაობის სტილსა და მეთოდებს, ფართო გზა ეძლევათ კომუნისტების ინიციატივას.

დღეს სპეციალური რუბრიკით — „პარტორგანიზაციის მდივნის ტრიბუნა" — ვაქვეყნებთ დუშეთის რაიონის შუახევის კომეულრნეობის პარტიული კომიტეტის მდივნის ბ. თიგიზოვილის წერილს. მასში მოთხრობილია იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც სასოფლო-სანო პარტორგანიზაცია ახორციელებს კომუნისტთა აქტივობის, მათი ავანგარდული როლის ასამაღლებლად.

„კომუნისტის" redაქცია იმედს გამოთქვამს, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, კომუნისტები აქტიურად გამოეხმაურებიან ბ. თიგიზოვის წერილს, მოგვწერენ თავიანთი მოღვაწეობის პრაქტიკაზე, გამოცდილებაზე, აგრეთვე გამოთქვამენ წინადადებებსა და სურვილებს.

სარედაქციო ფოსტას ხშირად მოაქვს პირველადი პარტიული ორგანიზაციებიდან წერილები, რომლებშიც კომუნისტები გვკითხულობენ საანგარიშო-საარჩევნო კრებების მომზადებისა და ჩატარების ზოგიერთ მომენტზე. ახლა, როცა ჩვენს რესპუბლიკაში უკვე დაიწყო ანგარიშგება-არჩევნები — ეს მეტად პასუხსაგები კამპანია პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში, რედაქცია კომუნისტ მკითხველებს სთავაზობს კრებების მომზადებისა და ჩატარების ცალკეულ საკითხებს კონსულტაციის სახით.

ამჯერად მოკლე საუბარი გვექნება იმაზე, თუ როგორი შეიძლება იყოს პარტიული ორგანიზაციის ბიუროს ან კომიტეტის საანგარიშო მოხსენება.

□ □

ჩვენი კონსულტაცია

საანგარიშო მოხსენება

პარტიული ცხოვრების მრავალი წლის პრაქტიკა თვალნათლივ მოწმობს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კარგ მოხსენებას საანგარიშო-საარჩევნო კრების მაღალ დონეზე წარმართვისათვის. იგი ის მთავარი სიმაგრეა, რომელიც ტოხს იძლევა, როგორ ხმიერიანობასაც უნდა აქაოს მთელი კამპანია. ამიტომ თვითეულ პარტიულ ორგანიზაციაში მის შედგენას განსაკუთრებული ყურადღებითა და გულმოდგინებით უნდა მოეკიდოს.

რა თქმა უნდა, კარგი საანგარიშო მოხსენების შესადგენად ერთიანი გეგმა, ერთიანი „რეცეპტი" როდი გამოდგება. ყოველ საანგარიშო პერიოდს აქვს ახალი ამოცანები, ახალი საკითხები. ამასთან, ერთი პარტიული ორგანიზაციისა განსხვავდება მეორისაგან მუშაობის პირობებით, თავისებურებით. ქარხნის ან კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის და სამინისტროს პარტიული ორგანიზაციის მომხსენებლებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ სრულიად სხვადასხვა საკითხებზე. ამიტომ, ბუნებრივია, მოხსენებათა შესაფერებად გეგმებიც სხვადასხვანაირი იქნება.

მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ საანგარიშო მოხსენების აუცილებელ ელემენტად ფაქტებისა თუ წინადადებების ლოგიკური თანმიმდევრობა. მოხსენებაში სამეურნეო მშენებლობის საკითხები პარტიული ცხოვრების საკითხებთან მჭიდრო კავშირში უნდა განვიხილოთ და არა იზოლირებულად, როგორც ეს ზოგჯერ ხდება ხოლმე.

მაგალითად, როცა ლაპარაკია ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე, ახალი ეკონომიური რეფორმის სიკეთის სწორად გამოყენებაზე, საჭიროა ნათლად წარმოვიდგინოთ ამოცანები, რომლებიც საწარმოს პარტიული ორგანიზაციის წინაშე დგას, რა როლი ეკისრებათ ამ საქმეში პარტიულ ჯგუფებს, ცალკეულ კომუნისტებს, ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის პარტიულ კომისიებს. თავიანთი მთავარი და კონკრეტული ამოცანები აქვთ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებების პარტიულ ორგანიზაციებს. მთელი ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ პარტიულმა მუშაობამ რა გავლენა მოახდინა სამეურნეო საქმიანობაზე, საერთო მუშაობაზე. საჭიროა მიღწეულებზე ითქვას თავმდაბლად, თავიდან უნდა ავიცილოთ პარადული სტაყვები. ყოველი მოხსენება უნდა იყოს პირდაპირი და საქმიანი.

სამწუხაროდ, წინა წლებში აქა-იქ ადგილი ჰქონდა ისეთ ფაქტებს, როცა საანგარიშო მოხსენება 4-5 გვერდზე იყო შედგენილი და მისმა ავტორებმა 10-15 წუთში ჩაიკითხეს. ბუნებრივია, რომ ასეთ „მოხსენებაში" ადგილს ვერ იპოვნიდა შინაპარტიული ცხოვრების ისეთი მთავარი საკითხები, როგორიც არის პარტიაში მიღება და ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება, დაჯალების განაწილება და კონტროლი და სხვ.

რას უნდა მივაქციოთ მთავარი ყურადღება?

პარტიულ-ორგანიზაციული, პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. რომ ვამბობთ, საჭირო ვიჩვენოთ, თუ როგორ ამაღლდა კომუნისტების ავანგარდული როლი, როგორ ვითარდება მათი აქტივობა, რეალიზატორობა. პასიურ კომუნისტებს რომ ვაკრიტიკებთ, სწორად გამგებელდ ვიქვათ, იმის შესახებაც, თუ რა ბრალია ამ მხრივ გასაკეთებელი და გასათვალისწინებელი, [illegible] ...ნი. [illegible] ...ი.

სწორედ ამიტომ მოხსენებაში მარტო ფაქტების, ჩატარებული კრებების, სხდომების, თუ [illegible] ...ი კი არ უნდა იყოს, [illegible] ...ული. [illegible] ...ობა ყოველივე იმის შესახებ, რაც მთელი წლის [illegible] ...ა. მასში მოცემული უნდა იყოს მთელი ორგანიზაციული გამოცდილება — რა იყო სწორი ან არასწორი, კონკრეტულად ვაჩვენოთ მიზეზები, გამედელად გავაკრიტიკოთ დამნაშავეები. აქვე უნდა იყოს მითითებული, თუ რა გამომდინარეობს ამ გამოცდილებიდან: როგორ მოვიქცეთ შემდეგში, ვის შეიძლება მივანდოთ ესა თუ ის საქმე. მარტო საკითხები კი არ დავაყენოთ, არამედ შეგვეძლოთ ცოცხალ ადამიანებს, გამოვიწვიოთ ისინი კამპანიაში, გავმალოთ საღი კრიტიკა და თვითკრიტიკა.

ხარხხიანი საანგარიშო მოხსენების მომზადებას დრო სჭირდება. მის შედგენაში პარტიული ბიუროს ან კომიტეტის წევრებთან ერთად უნდა მონაწილეობდნენ აქტივისტი კომუნისტებიც. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება მოხსენება კოლექტიური შემოქმედების ნაყოფი.

ზოგჯერ აყენებენ კითხვას: საჭიროა თუ არა, რომ საანგარიშო მოხსენებაში შეფასება მივცეთ პარტიული ბიუროს, კომიტეტის ცალკეულ წევრთა მუშაობას?

თუ პარტბიუროს ან პარტკომის უმრავლესობა საჭიროდ ჩათვლის, საანგარიშო მოხსენებაში შეიძლება ითქვას ცალკეულ კომუნისტებზეც, რომლებიც აჩრეული ორგანიზმები არიან: როგორ არმამევდნენ ისინი თავს დაკისრებულ მოვალეობას? ეს ხელს შეუწყობს კრიტიკასა და თვითკრიტიკას, პარტიის წევრთა პასუხისმგებლობის ამაღლებას არჩეული ორგანიზმები, დაეხმარება კრების მონაწილეებს უფრო სწორად შეარჩიონ კანდიდატურები პარტბიუროს თუ პარტკომის ახალ შემადგენლობაში.

როგორც წესი, პარტბიუროო ან პარტკომი წინასწარ განიხილავს და ამტკიცებს საანგარიშო მოხსენებას.

აქ იკრიბებიან ძლიერნები...

პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტთან საზოგადოებრივ საწყისებზე არსებობს ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის კაბინეტი, რომელიც ეხმარება არჩევით პარტიულ აქტივს პარტიული მუშაობის გამოცდილების შეძენაში. მათ აქ მუდამ შეუძლიათ მიიღონ პასუხები საინტერესო საკითხებზე, გაეცნონ პარტიული დოკუმენტაციის ნიმუშებს.

კაბინეტში მოწყობილია სტენდები — „ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავი", „ლენინური კომკავშირი" და „პროფკავშირები — კომუნიზმის სკოლა". სურათზე: კაბინეტის მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე შ. ციკოლია (მარჯვნივ) ესაუბრება ქალაქის პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებს მ. იაკოვენკოსა და ვ. ნარმანიას.

ფოტო ი. ბოხოლელიძისა. (საქმესის ფოტოქრონიკა).

სარედაქციო ფოსტიდან

მკითხველმა კალამი აიღო...

△ **ზესტაფონი.** ორდღიან დასვენებას გონივრულად იყენებენ ფეროშენადნობთა ქარხნის მეტალურგი ახალგაზრდები. მათ ამ დღეებში მოაწყეს ექსკურსია მარშრუტით: ზესტაფონი-ზუგდიდი-სოხუმი-რიწა-ხესტაფონი. ექსკურსანტებმა დათვალიერეს ზუგდიდისა და სოხუმის მუზეუმები, ღირსშესანიშნავი ადგილები, რიწის ულამაზესი მიდამოები.

მ. ბიორბაძე.

△ **ზუგდიდი.** იური გეგეჭკორი, როცა ასაკოვანი გახდა, ოცნებობდა სამშობლოს დამცველთა რიგებში მოხვედრილიყო, სამხედრო ფორმაში ეხილა თავი. ეს ნატვრაც აუსრულდა. ამჟამად სამხედრო ნაწილში მხედრულ წრთობას გადის და პოლიტიკური სწავლების ფრიადოსანია. ეს წერილობით აცნობა ნაწილის მეთაურმა იურის მშობლებს და მადლობას უთვლის ასეთი კარგი ვაჟკაცის აღზრდისათვის.

ბ. აბსანძე.

△ **ბათუმი.** № 1 სკოლა-ინტერნატში გაიმართა ლიტერატურული დილა, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩვენი ქალაქის შემოქმედებითი ახალგაზრდობის წარმომადგენლები. პოეზიის დანიშნულებაზე დამსწრეთ მოეთხრო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მ. ხომერიკმა.

თ. ბელაძე.

△ **საჩხერე.** სოფელ ჩიხის კოლმეურნე ახალგაზრდებმა მოაწყეს ორდღიანი ექსკურსია. მათ დათვალიერეს ქ. გორის ისტორიული ადგილები, ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი, იყვნენ ქ. ცხინვალში, ეწოწის ტბაზე და მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ.

ნ. იაკობაშვილი.

ზერელე გამოძიების სამწუხარო შედეგი

ეს ამბავი საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთიდან დაიწყო. რაიონულ ორგანოებში კოლმეურნეობის უტრძნის განიავებამოვლისებაზე სიგნალი შევიღა. შეიქმნა კომისიები, შეუდგნენ გამოძიებას. ოთხ ტონამდე უურძნის დანაკლისი აღმოჩნდა. დანაშაულის კვალი კოლმეურნეობის თავმჯდომარის ლ. კომლაძისა და ბუღალტერ შ. ამაშუკელისაკენ მიდიოდა. ამ უკანასკნელმა აშკარად მოითვისა კოლმეურნეობის 1.870 კილოგრამი ყურძენი. მაგრამ დამნაშავეებს ჭირისუფლები გამოუჩნდნენ. გამოძიება უკუმა მეტრალდა. დანაშაული თავს მოაბეჭეს მაშინდელ ბრიგადირს, სამამულო ომის ინვალიდს, კომუნისტ პ. თოდაძეს.

იგი ხუთჯერ გაასამართლეს. ბოლოს ერთი წლის პატიმრობა მიუსაჯეს, რაც იძულებითი შრომით შეუცვალეს.

უსამართლოდ დასჯილი კომუნისტი პ. თოდაძე ვერ ისვენებდა. მან მიმართა ზემდგომ ორგანოებს, რესპუბლიკურ გაზეთებს. ამ ზერელე, გამოძიებაზე გაზეთ „კომუნისტში" დისტანცია წერილი „ტკბილი ყურძენი და ჩამწარებული საქმე".

სამტომიანმა საქმემ წლობით იარა საჩხერე-თბილისს შორის. ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც მიუდგომლად, გულდასმით წაიკითხა აღნიშნული საქმე და აზრი მოახსენა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმს. პრეზიდიუმმა განაჩენი მიიჩნია უკანონოდ.

შედეგად ს. თოდაძის საქმე დამტკიცებით გამოძიებისათვის გადაეცა ქუთაისის პროკურატურას, რომელმაც 1968 წლის 3 იანვრის დადგენილებით პ. თოდაძის მიმართ საქმე შეწყვიტა მის მოქმედებაში დანაშაულის ნიშნების უქონლობით. ეს დადგენილება რესპუბლიკის პროკურატურამ კანონიერად ჩათვალა. პ. თოდაძე გამართლდა.

კოლმეურნეობის ყურძნის მოთვისებაში ნამდვილი დამნაშავეები შ. ამაშუკელი, ლ. კომლაძე, ა. იაშვილი დაუსჯელნი დარჩნენ, „რადგან დოკუმენტები, რომლებიც მათ ამხელდნენ, ხანდაზმულობის გამო განადგურებულია" (ქუთაისის პროკურატურის დასკვნიდან).

აქ ბუნებრივად ისმება კითხვა: საჩხერის პროკურატურამ, სადაც პირველად დაიწყო გამოძიება, რატომ განადგურებია მამხილებელი დოკუმენტები? ამით კოლმეურნეობა ხომ დაზარალდა?

გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ წერილზე — „ტკბილი ყურძენი და ჩამწარებული საქმე"—იმსჯელა საქართველოს კპ საჩხერის რაიკომის ბიურომ. დადგენილებაში გკითხულობთ:

საჩხერის პროკურორის თანაშემწეს ა. ქავთარაძეს გამოძიების ზერელედ წარმოებისათვის, რის შედეგად პ. თოდაძე უსაფუძვლოდ იქნა მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში, მეთითოს(?!)

სახალხო მოსამართლეს ა. კაბანაძეს, რომელიც საქმის განხილვისას ღრმად არ ჩაწვდა მონაკვეთი მასალების ობიექტურობას და პ. თოდაძეს უსწორო, გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა, მეითითოს(?!)

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ლ. კომლაძეს კოლმეურნეობის სამეურნეო-საფინანსო საქმეში არსებული ნაკლოვანებებისათვის და მის გამოსასწორებლად ზომების მიუღებლობისათვის — გამოეცხადოს საყვედური.

ერთობ ლობიერი სასჯელია.

ლმობიერი სასჯელი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლ. კომლაძე გათამამდა, მან უფრო ითამაშა კოლმეურნე კომუნისტი პ. თოდაძე. თავმჯდომარე ისე დაწერილმანდა, რომ პ. თოდაძის შვილ დროულად არ აძლევდა გამომშვებელი შრომადღეების ცნობას სასწავლებელში წარსადგენად.

ამ ამბებს მიმდინარე წლის 5 ივლისს ერთი უსიამოვნებაც დაერთო. ბრიგადირმა გ. თოდაძემ საძოვარში სრულიად უმიზეზოდ დაიჭირა კოლმეურნეთა 12 სული პირუტყვი და ავტოგარაჟში დაამწყვდია. მათ შორის იყო პ. თოდაძის ახალბბოიანი ძროხა. ბევრ კოლმეურნეს პირუტყვი დუბრუნეს, მაგრამ პ. თოდაძის ოჯახის ხვეწნა-მუდარამ არაფისზე გასჭრა, ძროხა ორი დღეკმე გარაკეში იყო დამწყვდეული, ორმოში გადაეყარა და სასიკვდილოდ დაზიანდა. მას გადარჩენის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. ვეტექიმის რჩევით ბრიგადირმა ძროხა დაკლა და ხორცი გაყიდა. ზემდგომი ორგანოების ჩარევით ბრიგადირმა პ. თოდაძეს სამაგიერო ძროხა უყიდა.

ასეთი ვითარებაში, 19 აგვისტოს გაიმართა კოლმეურნეობის კრება. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლ. კომლაძე გაათავისუფლეს.

სად მოღვაწეობს კოლმეურნეობის ყურძნის მომთვისებელი, ბუღალტერი შ. ამაშუკელი? იგი არგვეთიდან გადაიყვანეს უფრო მოზრდილ მახათურის კოლმეურნეობაში, რომელსაც კარგი დღე როდი დაეყენა. აი ზოგიერთი ამონაწერი დოკუმენტალური რეგისიის აქტიდან: „საბუღალტრო აღრიცხვის მიერ აღგილი აქვს შეგნებულად თვალსაზრისისა და დებიტორული დავალიანების გადამალვის ფაქტებს. კოლმეურნეობამ წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს კოლმეურნეობას მიჰყიდა 8.800 ძირი ვენახის ნერგი, რომლის ღირებულება 1.761 მანეთი წლიურ ანგარიშში არ უჩვენეს.

კოლმეურნეობაში სიმინდი დათესილი იყო 93 ჰექტარზე, ზემდგომ ორგანოებს უჩვენეს 131 ჰექტარი.

კოლმეურნეობის ბუღალტერი შ. ამაშუკელი შემჩნეულია საკოლმეურნეო თანხების ხელყოფაში, განაგებ ორიდებს, თავს პირადი ანგარიშების კონტროლს და ამით ზიანს აყენებს კოლმეურნეობას. ზ. პაპიჯანოვზე გაცემულად ჩამოწერა თანხა, მის მაგიერ შ. ამაშუკელმა მოაწერა ხელი და თვითონ მიიღო. ასეთი ყალბი ოპერაციებით მიიღებისა 517 მანეთი.

კოლმეურნეობის ხელმძღვანელ შუმაკეებზე პრემიის სახით ორასწორად გაიცა 4.117 კილოგრამი სიმინდი, 936 კილოგრამი ლობიო, 113 კილოგრამი ყველი. აქედან თვით შ. ამაშუკელმა უკანონოდ მიიღო 1.128 კილოგრამი სიმინდი, 262 კილოგრამი ლობიო, 62 კილოგრამი ყველი.

რევიზიის პერიოდში გამოვლინდა 5.768 მანეთის დანაკლისი.

ასეა ჩაწერილი რევიზიის აქტში.

თითქოს სერიოზული დანაშაული. რაიონულმა ორგანოებმა ამსჯელეს და შ. ამაშუკელი მახათურის კოლმეურნეობას მოაშორეს, გავიდა რამდენიმე თვე და 1968 წლის 24 ივლისიდან იგი საჩხერის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის მთავარ ბუღალტრად დანიშნეს.

ამის თაობაზე ვესაუბრეთ რაიონის პარტიულ-საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებს. მათ აღნიშნეს, შ. ამაშუკელი წარსული ვიცით, მაგრამ ბუღალტრები არა გვყავს და ამის გამო ვამუშავებთო. ასეთი მოქმედება გამართლებული არ უნდა იყოს. საეჭვოა ამით სახალხო დოვლათი ხელყოფისაგან დავიცვათ.

ასეთია ერთი ზერელე გამოძიების ისტორია.

ბ. ჟიოკაძე,
„კომუნისტის" სპ. კორ.

მოსახლეობის მომავალი აღწერის თავისებურებანი

მოსახლეობის, — როგორც მთავარი მწარმოებელი ძალისა და მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა მომმარებლის, — რიცხვის, შედგენილობის, გაადგილების, დემოგრაფიული პროცესების შესახებ ზუსტს და სრულ მონაცემებს, რომლის მიღების შესაძლებლობასაც მხოლოდ მოსახლეობის აღწერები იძლევა, ყოველთვის ქქონდა დიდი მნიშვნელობა საბჭოთა საზოგადოების გეგმიანი ეკონომიკის მართვისა და სახალხო მეურნეობის დაგეგმვის საქმეში.

მოსახლეობის მომავალი 1970 წლის 15 იანვრის რიგით მეხუთე საკავშირო აღწერას, რომლის პროგრამა შემუშავებულია სახალხო მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობისა და მეცნიერული კვლევის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, აქვს მთელი რიგი პროგრამულ-მეთოდოლოგიური თავისებურებანი და სიახლენი ნინა 1959 წლის აღწერასთან შედარებით.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ მომავალი აღწერის პროგრამა ითვალისწინებს მოსახლეობის საკითხების გაცილებით უფრო ფართო წრის და დეტალურ შესწავლას, ვიდრე წინა აღწერები. თუ მოსახლეობის 1959 წლის აღწერის საალწერო ფურცელი შეიცავდა 15 კითხვას, მომავალი აღწერის ძირითადი საალწერო ფურცელი (ფორმა 2) შედგება 18 ძირითადი კითხვისაგან, სადაც 14 კითხვის სახით შედის წინა აღწერის 15-იე კითხვა. ასე რომ 1970 წლის საალწერო ფურცელი ფაქტიურად 4 სრულიად ახალი ძირითადი კითხვით მეტია 1959 წლისაზე. ესენია 14, 16, 17, 18 კითხვები. მე-14 კითხვა ითვალისწინებს იმ პირთა მუშაობის ხანგრძლივობის აღრიცხვას თვეობით, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით 1969 წელს დასაქმებული იყვნენ არასრულ წელიწადს. მიღებული მონაცემები უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით სეზონურ წარმოების დარგებში (სოფლის მეურნეობა, მშენებლობა) მრავალი რესურსების გამოყენების დონის უკეთ შესწავლას, დასაქმებულობაზე სეზონურობის გავლენის ეფექტურ დონისძიებათა შემუშავებას და უკეთ გატარებას.

მე-16-17-18 კითხვები მიმართულია მიგრაციული პროცესების შესასწავლად. ამავე დროს კითხვები ისეა დასმული და ურთიერთდაკავშირებული, რომ წარმოდგენას მივიღებთ არა უბრალოდ მიგრანტთა რაოდენობაზე, არამედ საერთოდ მიგრაციულ პროცესზე. ეს მონაცემები მოსახლეობის რაციონალურად გაადგილების ფართო შესაძლებლობას იძლევა, რაც გაზრდის შრომის ნაყოფიერებას და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობას.

გარდა აღნიშნული 4 ძირითადი ახალი კითხვისა, 1959 წლის აღწერისაგან განსხვავებით მომავალი აღწერის საალწერო ფურცლის 3 ძირითადი კითხვა ეეიცვლა 3 ახალ ქვეკითხვას, რომელსაც სრულიად დამოუკიდებელი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს და მოვლენის უფრო გაღრმავებული შესწავლის საშუალებას გვაძლევს. კერძოდ, მე-8 დედამიწის შესახებ შეიცავს ქვეკითხვას, რომელიც ითვალისწინებს სსრ კავშირის ხალხთა სხვა ენის აღრიცხვას, რომელსაც აუსებელი თავისებურად ფლობს. ეს ცნობები აუცილებელია და სსრ კავშირის ცალკეულ ხალხთა ასიმილაციისა და კონსოლიდაციის პროცესის შესწავლის საშუალებას იძლევა.

მე-13 კითხვის ქვეკითხვა მოითხოვს პენსიონერებისათვის ადრინდელი ძირითადი მოსაქმეობის ჩვენებას. ამით 1959 წლის აღწერისაგან განსხვავებით მივიღებთ აგრეთვე დასაქმებულთა და პენსიონერთა რიცხვს პროფესიების მიხედვით. ეს ცნობები ეროვნული ეკონომიკის ეფექტურ გამოყენებას ჰპოვებს მოსახლეობის ქალაქისა და საგარეუბნო ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესაბამისად.

მოსახლეობის საბჭოთა აღწერის პრაქტიკაში პირველად მომავალი აღწერისას საალწერო ფურცელში ასაკის შესახებ კითხვაზე პასუხის გაცემის დროს ჩაიწერება არა მარტო შესრულებული წლოვანება, არამედ დაბადების დრო (წელი, თვე). ამის შედეგად შერბილდება ჩვენში, განსაკუთრებით კი ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოში ჯერ კიდევ არსებული ასაკობრივი გეუმეულია, — ასაკის დამრგვალება, რითაც უზუსტესყოფილი იქნება მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის შესახებ უფრო ზუსტი მონაცემების მიღება. ამის შედეგად გაიზრდება მთელ რიგ დემოგრაფიულ მაჩვენებელთა გაანგარიშების სიზუსტე.

ერთ-ერთ ახალ მნიშვნელოვან მომენტს მოსახლეობის მომავალი აღწერის პროგრამაში შეადგენს ის, რომ იგი ითვალისწინებს ცალკეულ შემთხვევაში აგრეთვე შესასწავლი მოვლენის გამომწვევი მიზეზების რეგისტრაციას. ამ მხრივ ტიპიურია მიგრაციული პროცესების შესწავლასთან დაკავშირებული მე-18 კითხვა — „საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის მიზეზი". მოვლენათა კავშირ-ურთიერთობრივი შესწავლა უაღრესად ზრდის მომავალი აღწერის შედეგების მეცნიერულ-პრაქტიკულ მნიშვნელობასა და ღირებულებას.

მოსახლეობის მომავალი აღწერის პროგრამის მსგავსად და კიდევ უფრო მეტად ფართოა აღწერის შედეგების დამუშავების პროგრამა, რომელიც შედგება 60 ცხრილისაგან, მაშინ როცა 1959 წლის აღწერის შედეგების დამუშავების პროგრამა 36 ცხრილს შეიცავდა. მოსახლეობის აღწერის შედეგების დამუშავების პროგრამა მოლიანად გაზრდილია ახალი თემატიკისა და მაჩვენებელთა ხარჯზე, ხოლო ცალკეული ცხრილები უფრო დეტალურია. სხვადასხვა კითხვებზე მიღებული პასუხი ფართოდ არის ერმანმანეთთან დაკავშირებული კომბინაციური ცხრილებით. მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური დასასათებათვის საჭირო მაჩვენებლებთან ერთად გაზრდილი და გაფართოებულია ასევე დემოგრაფიული მაჩვენებლების რაოდენობა, მათ შორის ოჯახის შემადგენლობისა, რაც გაზრდის თაობათა განახლების პროცესის შესწავლას, დემოგრაფიიული პროგნოზირების სიზუსტეს. გადიდებულია აგრეთვე ცალკეულ ეროვნებათა მოსახლეობის შედგენილობის მაჩვენებლები.

მოსახლეობის მომავალ აღწერას სხვა მხრივაც აქვს მთელი რიგი მნიშვნელოვანი თავისებურებანი. მოსახლეობის საბჭოთა აღწერების ისტორიაში პირველად მოსახლეობის 1970 წლის საკავშირო აღწერისას გამოყენებული იქნება შერჩევითი აღწერის მეთოდი: საალწერო ფურცლის მე-12-18 კითხვები შეიავსება მხოლოდ ყოველ 4 საცხოვრებელ სადგომში მცხოვრებზე.

ერთ-ერთი თავისებურება და სიახლე მოსახლეობის მომავალი აღწერისა იმაში მდგომარეობს, რომ წინა აღწერებისაგან განსხვავებით აქცენტი გადატანილია ბუდწინი მოსახლეობის კატეგორიაზე. როგორც ძირითადი საალწერო ფურცელი, ასევე ორივე ანკეტა (ფორმა 3,4) მთლიანად შეიტანება მხოლოდ მუდმივ მოსახლეობაზე, ხოლო სახლზე მყოფ მოსახლეობაზე შეიავსება მარტო ძირითადი საალწერო ფურცლის I-II კითხვები. ამავე დროს აღწერის შედეგები ძირითადად დამუშავდება მუდმივი მოსახლეობის მიხედვით, მაშინ როცა 1959 წლის აღწერის შედეგები დამუშავებული იყო სახლზე მყოფი მოსახლეობის მიხედვით.

მოსახლეობის მომავალი აღწერის ზოგიერთი თავისებურებანი და სიახლენი ერთგვარად ართულებს 1970 წლის აღწერის ჩატარებას. ეს გარემოება კიდევ უფრო მეტად ზრდის როგორც მოსახლეობის, ისე აღწერის კადრების პასუხისმგებლობას.

თვითეულ მოქალაქეს შეგნებული უნდა ქქონდეს და კარგად უნდა ახსოვდეს, რომ მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული ინფორმაცია წარმოადგენს სახელმწიფო, საგანგმო, საკავშირო ორგანოების, საბჭოეთიერთ-საკავშირო დაწესებულებებისათვის ძვირფასი მასალა, რომლის საფფფფფფ... უნდა დამუშავდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული განვითარების, მოსახლეობის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებანი.

ბ. ფირცხალავა,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

მეგობრობის დიადი ქალაქ

(დასასრული)

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულის, საბჭოთა კავშირის ძლევამოსილი არმიის მიერ ჩვენი ხალხის ფაშიზმისაგან განთავისუფლების 25 წლისთავის დღესასწაულის წინ. ეს ისტორიული მოვლენები გვაფალებს მოვიხმოთ ახალი დიდი წარმატებანი სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების განვითარების დარგში.

დაე ქართული კულტურის დღეები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადაიქცეს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნიმანსვეტად ჩვენი ხალხების შემდგომი დაახლოების გზაზე.

ჩვენ, საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის წარმოგზავნილთ, თქვა სალამაზე გამოსულმა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა, განსაკუთრებით გვაბარებს ის გარემოება, რომ ჩვენი კულტურის დღეები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაემთხვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 20 წლისთავს. ნება მიბოძეთ ქართული კულტურის დღეების მონაწილეთა დელეგაციის, ქართველი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის სახელით ერთხელ კიდევ მივულოცო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს დიდი დღესასწაული და ვუსურვო თქვენს ქვეყანას შემდგომი აყვავება, განვლილი 20 წლის მანძილზე მოპოვებული წარმატებების გამრავლება.

ჩვენ გვახარებს თქვენი წარმატებები, ვამაყობთ თქვენი ყოველი წინგადადგმული ნაბიჯით, რადგან ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ ეს სულ უფრო გვიახლოებს საერთო მიზნის მიღწევას.

ჩვენ დიდი კმაყოფილებით ვიგონებთ 1967 წლის დასასრულის ათ დღეს, როცა ჩვენს რესპუბლიკაში მოეწყო თქვენი კულტურის დღეები. ეს იყო ბრწყინვალე დემონსტრაცია თქვენი ახალი სოციალისტური კულტურისა, ეს იყო შესანიშნავი დღესასწაული ჩვენი მეგობრობისა, ეს იყო მოვლენა, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა არა მარტო საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, არამედ აგრეთვე ადამიანთა პირად ურთიერთობაში, რადგან ამ ურთიერთობას საფუძვლად დაედო ურთიერთგაგება, გულწრფელობა, საერთო მიზნისაკენ მისწრაფება.

და აი ახლა, ორი წლის შემდეგ, თქვენთან სტუმრად არის ქართული კულტურა. ჩვენ ვისარგებლეთ რესპუბლიკის მთავრობის დახმარებით, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების მხარდაჭერით იმისათვის, რომ რაც შეიძლება უკეთ გიჩვენოთ საქართველოს წარმატებანი, რომლებიც კულტურის დარგში მოვიპოვეთ.

საქართველო საბჭოთა რესპუბლიკების ძმური ოჯახის სრულფლებიანი წევრია. მისი ტერიტორია შეადგენს 70 ათას კვადრატულ კილომეტრს, ხოლო მოსახლეობა — 5 მილიონ კაცს. საქართველოს აქვს ძველი კულტურული ტრადიციები, ქართველმა ხალხმა ჯერ კიდევ 15 საუკუნის წინათ შექმნა თავისი დამწერლობა. და ახლა საქართველოს ამშენებს 5 ათასზე მეტი არქიტექტურული ძეგლი, რომლებსაც დიდი სიყვარულით იცავს მთელი ხალხი. ჩვენ დიდი პატივისცემით ვეკიდებით წარსულის მემკვიდრეობას, მაგრამ ამასთან ყველაზე დიდ მიღწევად მიგვაჩნია თანამედროვე სოციალისტური კულტურა, რომელიც უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში შექმენით.

საბჭოთა მთავრობამ, სოციალისტურმა წყობილებამ ყველა წინამძღვარი შექმნეს იმისათვის, რომ ახალ კულტურას აზიარონ, მისი შემოქმედი გახდონ მთელი ხალხი, მუშები და გლეხები — ყველა ისინი, ვინც ქმნის ღირებულებებს. თავის გამოსვლაში ო. თაქთაქიშვილმა ილაპარაკა სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ბეჭდვითი სიტყვის განვითარებაზე რესპუბლიკაში.

ჩვენი დელეგაციის წევრები, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საქართველოს კულტურის დღეების მონაწილენი ყოველ დღეს იხმარენ, რათა რაც შეიძლება სრულად გიჩვენონ ჩვენი მიღწევები კულტურის დარგში.

ამისათვის აქ ჩამოვიდნენ ჩვენი საუკეთესო ანსამბლები და სოლისტები — როგორც პროფესიული, ისე თვითმოქმედი. ამისათვის ჩვენ ჩამოვიტანეთ ქართული სასვეთი ხელოვნების, კერამიკის, გამოყენებითი ხელოვნების გამოფენები, აგრეთვე ფოტოგამოფენა, რომელიც ასახავს ქართველი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს.

დღეს თქვენს ქვეყანაში იწყება საქართველოს კულტურის დღეები. უნდა ითქვას, რომ ეს ფრიად ამაღელვებელი მოვლენაა და ჩვენ ყველანი ძალიან აღელვებული ვართ. მაგრამ ეს სასიამოვნო მღელვარებაა, მღელვარება, რომელსაც ადამიანი განიცდის, როცა მიდის მეგობართან და უზიარებს მას თავის წარმატებებს, თავისი შრომისა და შემოქმედების შედეგებს.

ვიწყებთ რა ჩვენი კულტურის დღეებს თქვენს შესანიშნავ ქვეყანაში, ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ ჩვენმა სიმღერებმა და ცეკვებმა, ჩვენმა გამოფენებმა, ჩვენმა სიმფონიურმა, კამერულმა და საესტრადო მუსიკამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს მიანიჭოს არა მარტო დიდი სიამოვნება, არამედ კიდევ და კიდევ ერთხელ განამტკიცოს ჩვენი კავშირისა და მეგობრობის ურყეობა, როგორც ჩვენს ხალხებს შორის, ისე მთელი მსოფლიოს ხალხებს შორის, რაც ყველაზე საიმედო საწინდარია კაცობრიობის საუკეთესო მომავლის და ადამიანთა ბედნიერებისა დედამიწაზე.

ამავე დღეს გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში კიპენიკის სასახლის დარბაზებში გაიხსნა გამოფენა „საქართველოს გამოყენებითი ხელოვნება“. ბერლინის საქალაქო ბიბლიოთეკამ თავისი ფოიე დაუთმო „ქართულ ხუროთმოძღვრებას“, ხოლო თეატრმა „ფოლკსბიუნემ“ — ექსპოზიცია „გერმანული კლასიკური დრამატურგია და თანამედროვე დრამატურგია საქართველოს თეატრებში“. გერმანელი მოსწავლენი ამ დღეს მივიდნენ მასწავლებლის სახლში საქართველოს სსრ მაყვრთა მხატვრული ხელოსნობის გამოფენის გასახსნელ. გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ცენტრალურ სახლში გაიმართა ბალი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საქართველოს სსრ კულტურის დღეების გამო, აგრეთვე გაიხსნა საქართველოს სს რესპუბლიკის მიღწევების ფოტოგამოფენა.

დიდი წარმატება ხვდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლისა და ეოკალურ-საინსტრუმენტო ანსამბლის „ორერას“ მსახიობებს, რომლებმაც გამართეს პირველი კონცერტები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

დიდი ბელადის ძეგლი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ქალაქ ნაუმბურგში (ბალეს ოლქი) გაიხსნა ვ. ი. ლენინის ძეგლი.

ფოტო ადნ საკდესისა.

საბჭოთა კოსმონავტები ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 8 ნოემბერი. (საკდესი). საბჭოთა კოსმონავტებმა გ. ტ. ბერეგოვოიმ და ა. ს. შეიკანსტოვმა, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებიან ამერიკელი კოსმონავტის ფ. ბორმანის მიწვევით, გუშინ ამერიკის დედაქალაქში გაატარეს დღე.

მათ ინახულეს სმიტსონის ინსტიტუტი, რომელშიც შეგროვილია მრავალი ექსპონატი ამერიკის ავიაციისა და კოსმონავტიკის განვითარების შესახებ, აგრეთვე დაათვალიერეს ვაშინგტონის სხვა ღირსშესანიშნაობანი.

თავიანთი ვიზიტის დასასრულს საბჭოთა კოსმონავტებმა გვირგვინებით შეამკეს სამი დაღუპული ამერიკელი კოსმონავტის საფლავები.

საბჭოთა ფილმების ნარმატება

ქანბერა, 3 ნოემბერი. (საკდესი), დამთავრდა ტრადიციული კინოფესტივალი ადელაიდაში და სატელევიზიო ფილმების მეორე საერთაშორისო ფესტივალი.

ამ ფესტივალზე წარდგენილმა საბჭოთა ფილმებმა სამი პრიზი მოიპოვეს. პირველი პრემია და ოქროს პრიზი „სამხრეთის ჯვრის თანავარსკვლავედი“ ეიურიმ ერთსულოვნად მიანიჭა მოკლემეტრაჟიან სატელევიზიო ფილმს „რომეო და ჯულიეტას“, რომელშიც მონაწილეობენ დიდი თეატრის ბალეტის სოლისტები ნატალია ბესმერტნოვა და მიხეილ ლავროვსკი.

როგორც საკდესის კორესპონდენტს ფესტივალის ხელმძღვანელებმა გაუცხადეს, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მთელმა რიგმა საბალეტო ასოციაციებმა გამოთქვეს ამ ფილმის პრის შეძენის სურვილი.

□

ბოლოდ ფაქტები

სომალის ახალი მთავრობა

მოგადიშო, 8 ნოემბერი. (საკდესი). აქ გამოაცხადეს სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალი მთავრობის შემადგენლობა.

ახალი მთავრობის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნად დანიშნულია სომალის ყოფილი ელჩი ეთიოპიაში ომერ არტეხ გალიბი. შინაგან საქმეთა სახელმწიფო მდივნის პოსტი დაიკავა უმაღლესი რევოლუციური საბჭოს ვიცე-პრეზიდენტმა, გენერალ-მაიორმა მოჰამედ ჯამა კორშელმა. ფინანსების საკითხთა სახელმწიფო მდივანი გახდა მოჰამედ ახმედ არალე.

სულ სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობაში შევიდა 14 კაცი.

სხდომა კაიროში

კაირო, 8 ნოემბერი. (საკდესი). აქ პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერის თავმჯდომარეობით გაიმართა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პირველი სხდომა ერთი თვის შესვენების შემდეგ, რაც პრეზიდენტის ავადმყოფობით იყო გამოწვეული.

როგორც ორგანიზაციის სხდომის დამთავრების შემდეგ განაცხადა არაბთა გაერთიანებული ეროვნული ხელმძღვანელობის მინისტრმა მუჰამედ ფაიეზმა, პრეზიდენტმა ნასერმა კაბინეტის წევრებს გააცნო ახლო აღმოსავლეთის კრიზისის გამო არაბულ სახელმწიფოთა მეთაურებთან კონტაქტების შედეგები და ღონისძიებანი, რომელთა მიზანია კონფლიქტის მოწესრიგება ლიბანის ხელისუფლებსა და პალესტინის წინააღმდეგობის ორგანიზაციებს შორის.

მეგობრული ვიზიტით

კანი, 3 ნოემბერი. (საკდესი). საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია საკავშირო პროფსაბჭოს მდივნის ს. ა. შალაევის მეთაურობით, რომელიც მეგობრული ვიზიტით იმყოფება ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მიიღო ვიეტნამის პროფკავშირთა ფედერაციის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გუენ კონგ ჭოამ. მეგობრული და გულთბილი საუბრის დროს მათ ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ორი ქვეყნის პროფკავშირებს შორის თანამშრომლობის განვითარების საკითხებზე და შეეხნენ საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცების საკითხებს.

კამგოჯის პროტესტი

პნომპენი, 8 ნოემბერი. (საკდესი). კამბოჯის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების პნომპენის საელჩოს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც მტკიცე პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ ამერიკა-საიგონის ჯარებმა ცეცხლი დაუშინეს კამბოჯის ტერიტორიას.

ნოტაში აღნიშნულია, რომ 4 და 6 ოქტომბერს სვარიენგისა და პრეკვენგის პროვინციებში მომხდარი ინციდენტების დროს დაიღუპა 8 და დაიჭრა 2 მშვიდობიანი კამბოჯელი მცხოვრები. სასაზღვრო რაიონების გლეხთა მეურნეობებს დიდი მატერიალური ზარალი მოუვიდა. კამბოჯის მთავრობა ხაზს უსვამს ამერიკა-საიგონის მხედრიონის მოქმედების წინასწარგანზრახულ ხასიათს და მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ შეწყვიტოს პროვოკაციული აქტები და კამბოჯას აუნაზღაუროს მიყენებული ზარალი.

მშვიდობა ლაოსს!

ლაოსის შესახებ ჟენევის 1962 წლის თათბირის საბჭოთა თანათავმჯდომარემ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ ლაოსის შესახებ ჟენევის 1962 წლის თათბირის მონაწილე. სახელმწიფოთა მთავრობებს გაუგზავნა განცხადება, რომელშიც ხერხოზულ წუხილს გამოთქვამს საგანგაშო მდგომარეობის გამო, რაც ლაოსში შეიქმნა ლაოსის სამნაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევის მასშტაბის შემდგომი გაფართოების, კერძოდ, ამ ქვეყნის ტერიტორიაზე სამარ მოქმედებაში ამერიკის შეიარაღებული ძალების მონაწილეობის შედეგად. ეს მოქმედება უხეში დარღვევაა ჟენევის 1962 წლის შეთანხმებებისა, რომლებსაც ხელს აწერს ამერიკის შეერთებული შტატებიც, და მეტად უარყოფითს გავლენას ახდენს არა მარტო ლაოსის, არამედ აგრეთვე მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ამბების განვითარებაზე.

ლაოსის სამნაო საქმეებში ამერიკის შეიარაღებული ჩარევის უშუალო შედეგი იყო ამასწინანდელი საბრძოლო მოქმედებანი სურების ხეობასა და ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში, რასაც მოჰყვა დაკავება მთელი რიგი რაიონებისა, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ლაოსის პატრიოტული ძალების კონტროლს ექვემდებარებოდნენ. ეს ოპერაცია შეიმუშავეს და განახორციელეს ამერიკელი ოფიცრების ხელმძღვანელობით და ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის უშუალო დახმარებით.

შემდეგ ა. ა. გრომიკომ დაიმოწმა 1962 წლის ჟენევის შეთანხმებათა შესრულების მეთვალყურის ლაოსის ეროვნული კომისიის წევრის, ნეო ლაო ხაკ სატის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ფუმი ვონგვიჩიტის 20 აგვისტოსა და 1 სექტემბრის დეპეშები ჟენევის თათბირის თანათავმჯდომარეებისადმი, აგრეთვე ნეო ლაო ხაკ სატის ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის 27 ოქტომბრის განცხადება. ამ დოკუმენტებში გამოთქმულია მტკიცე პროტესტი ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც უხეშად ხელყოფს ლაოსის სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას, ნეიტრალიტეტს, ერთიანობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. და გამოთქმულია მოთხოვნა, რომ ბოლო მოეღოს ამერიკის შეიარაღებულ ინტერვენციას.

ომის გაფართოება ლაოსში, სამხრეთ ვიეტნამში შეიარაღებული ინტერვენციის განგრძობასთან ერთად, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, კიდევ უფრო ამწვავებს ვითარებას და დამატებითს დაბრკოლებებს ქმნის ვიეტნამის საკითხის პოლიტიკური მოწესრიგებისა და ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე მშვიდობის აღდგენის საქმეში.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ასეთი პოზიცია არა რეალისტური და სამაშიცაა.

საბჭოთა მთავრობა გმობს ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებას ლაოსში და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთელი პასუხისმგებლობა სამაში ვითარების შექმნისათვის ეკისრებათ იმ ძალებს, რომლებიც ფაქტიურად ქმნიან სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ხალხთა წინააღმდეგ აგრესიული ომის ახალ ფრონტს.

□

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲘ ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲨᲘ

საბჭოთა ფილმების ნარმატება

ქანბერა, 3 ნოემბერი. (საკდესი), დამთავრდა ტრადიციული კინოფესტივალი ადელაიდაში და სატელევიზიო ფილმების მეორე საერთაშორისო ფესტივალი.

ამ ფესტივალზე წარდგენილმა საბჭოთა ფილმებმა სამი პრიზი მოიპოვეს. პირველი პრემია და ოქროს პრიზი „სამხრეთის ჯვრის თანავარსკვლავედი“ ეიურიმ ერთსულოვნად მიანიჭა მოკლემეტრაჟიან სატელევიზიო ფილმს „რომეო და ჯულიეტას“, რომელშიც მონაწილეობენ დიდი თეატრის ბალეტის სოლისტები ნატალია ბესმერტნოვა და მიხეილ ლავროვსკი.

როგორც საკდესის კორესპონდენტს ფესტივალის ხელმძღვანელებმა გაუცხადეს, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მთელმა რიგმა საბალეტო ასოციაციებმა გამოთქვეს ამ ფილმის პრის შეძენის სურვილი.

□

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲒ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲕᲘᲓᲝᲑᲘᲗ ᲘᲧᲝᲗ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ.

ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲐ

კაირო, 3 ნოემბერი. (საკდესი). შეთანხმება ლიბანის შეიარაღებულ ძალებსა და პალესტინელ პარტიზანთა რაზმებს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეულ იქნა გუშინ კაირო-ში ლიბანისა და პალესტინის დელეგაციებს შორის. იგი ქალაქში შეიდა 2 ნოემბერს ღამით.

ერთობლივ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ორივე მხარე შეთანხმდა აგრეთვე შეიჩერონ ლიბანის კრიზისის შედეგად მიღებული ყველა ღონისძიების განხორციელება და განაგრძონ მოლაპარაკება ყველა პუნქტზე სრული შეთანხმების მიღწევის მიზნით.

ეს იყო ახლანდელი კრიზისის მსვლელობაში ლიბანის ხელისუფალთა წარმომადგენლების პირველი შეხვედრა პალესტინელ პარტიზანთა ხელმძღვანელობასთან. ლიბან-პალესტინის მოლაპარაკებას წინ უძღოდა აქტიური დიპლომატიური საქმიანობა კაირომი ლიბანის კრიზისის მოსაგვარებლად.

დღეს კაიროში დანიშნულია ლიბანისა და პალესტინის დელეგაციების მეორე შეხვედრა, რომელზეც გაგრძელდება ლიბანსა და პალესტინის ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის ყოველმხრივი მოწესრიგების საკითხთა განხილვა.

ᲡᲐᲣᲛᲠᲐᲓ ᲞᲐᲑᲚᲝ ᲜᲔᲠᲣᲓᲐᲡᲗᲐᲜ

შეხვედრები და შთაბეჭდილებები

ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე პოეტი პაბლო ნერუდა წამოყენებულია პრეზიდენტობის კანდიდატად ჩილეს კომუნისტური პარტიისაგან. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე.

როგორც პლენუმის შემდეგ გამართულ მრავალათასიან მიტინგზე კომპარტიის ცკ-ის გენერალურმა მდივანმა ლუის კორვალანმა განაცხადა, მომავალი წლის არჩევნებში პრეზიდენტობის კანდიდატად რკინიგზელის შვილის, ექსპლოატატორთა წინააღმდეგ, სამართლიანობისა და მშვიდობისათვის მებრძოლის პაბლო ნერუდას წამოყენებით კომპარტია მიზნად ისახავს ბოლო მოუღოს სილატაკეს სახელმწიფოში, კაპიტალისტური წყობილება შეცვალოს სოციალისტურით. შექმნას მშრომელთა სახელმწიფო. სიტყვით გამოსულმა პაბლო ნერუდამ განაცხადა, რომ იგი მთელი ენერგიით იბრძოლებს პარტიის საარჩევნო პროგრამის განხორციელებისთვის, რომლის მიზანია მთელი მემარცხენე ძალების ერთიანობა, ბრძოლა მშრომელთა უფლებებისათვის, აგრარული რეფორმის დაუყოვნებლივ განხორციელება, სპილენძის სამადნეებისა და ჩილეს მთელ იმ ეროვნულ ბუნებრივ სიმდიდრეთა ნაციონალიზაცია, რომლებიც უცხოეთის მონოპოლიების ხელშია.

ამას წინათ ამ სტრიქონების ავტორს ჩილელ უურნალისტთა ჯგუფთან ერთად წილად ხვდა ბედნიერება სტუმრად სწვეოდა პაბლო ნერუდას მის ბინაში ისლა ნეგრაზე. ადრე დარწმუნებული ვიყავი, რომ ისლა ნეგრა ზუსტად შეესაბამებოდა მის სახელწოდებას (იგი „შავ კუნძულს“ ნიშნავს). მაგრამ ეი მანქანა, მთის ხვეული გზებით ერთხელ ვთქვა: გაუმარჯოს გერმანელ ხალხს, გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა მარადიულ მეგობრობას!

— ახლა რიგა ბერლინში ჩამოსულ ქართველ სტუმართა ქართულ სუფრას ვუსხედვართ. როცა ბერლინში სტუმრად ვართ ქართველებთან, — თქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა კ. გეზმა, — მინდა გადმოვცეთ თქვენ, თქვენი სახით კი მთელ ქართველერს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მძერი სალამი. აქ, ქართული ღვინისა და სამზარეულოს დღესასწაულის გახსნაზე, ბერლინის გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმდან მოვედი, სადაც ქართული გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა გიახსნა. თქვენი ექსპოზიცია, რომელიც მთლიანად ასახავს ქართული კულტურის განვითარებას უძველესი დროიდან დღემდე, გვიჩვენებს თქვენი ძველი და ახალი ხელოვნების სინთეზს, ყოველ ჩვენგანს ბევრ კარგ გრძნობას აღგვიძრავს. ახლა კი, როცა ამ სუფრას ვუსხედვართ და ეროვნულ კერძებს მიერთმევთ, მოჯადოებული ვართ ქართული ღვინის შესანიშნავი სურნელებით.

ასეთი „ქართული რესტორნები“, უთხრა ბელგის კორესპონდენტს ქალაქ თბილისის საზოგადოებრივი კვების ტრესტების სამმართველოს უფროსმა ი. ბოკერიამ, 1 ნოემბრიდან გაიხსნა დრეზდენში, კარლ-მარქს-შტადტში, გერასა და ზულში. 10 ნოემბრამდე ამ რესტორნებში მხოლოდ ჩვენი კერძებით გიმასპინძლდებიან სტუმრებს. საკმაზ-სანელებელი თბილისიდან ჩამოვიტანეთ, ხოლო სულგუნს, ნადუღს, იმერულ ყველს ამზადებენ ელსტრის რაიონის რძის კომბინატში ინჟინერ-ტექნოლოგის ს. წიფლოსანის ხელმძღვანელობით. დრეზდენში, რესტორან „კულტურპალასში“ დადგმულია ქართული თონე, რომელშიც ხაბაზები ი. ჩხეიძე და ს. სირბილაძე ქართულ პურს აცხობენ. ყველს ელსტერიდან და პურს დრეზდენიდან იღებს ყველა რესტორანი, რომლებშიც მუშაობენ შეფ-მზარეულები, გ. გეგნიძე, გ. ხიზანიშვილი, გ. ბერიძვილი და გ. გელოვნიშვილი.

პირველსავე საღამოს ბერლინელ ჟურნალთა ნაკადმა მიაშურა რესტორან „რატეკიოლერს“. უკვე გაჩნდა ლტაცებები ჩანაწერები შთაბეჭდილებათა წიგნში, ხოლო ბერლინის გაზეთები წერენ: „თუ ქართული კერძი არ გიგემნია, საკუთარი თავის მტერი ყოფილხარ“.

ბერლინი. სცენაზეა საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ა. კავსაძის ხელმძღვანელობით.

ფოტო საკდესის სპეც. კორესპონდენტის ბ. კიკვიძისა. (მიღებულია ფოტოტელეგრაფით).

ბაბლო ნერუდა

ეს ეს ეს

ეს ეს ეს

ეს ეს ეს

საქართველოს მთა და ბაგრეკი

ჭადრაკი — ნ. ალექსანდრია უტევს

ფეხბურთი — სამი ფრე

კომუნისტი — ერთიანი ინტერნაციონალის ბიბლიოთეკა

ტურნირი

წინასაღდესასწაულო ვაჭრობა

როგორ ეგებებიან საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 52-ე წლისთავს? როგორ მოეწყობა ვაჭრობა დღესასწაულისწინა და დღესასწაულის დღეებში? ამ კითხვებზე საქდისის კორესპონდენტს უპასუხა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა ვ. ზ. ოთხაძემ.

ცხრა თვის საქონელბრუნვის გეგმა შეგასრულოდთ 100,5 პროცენტით, მოსახლეობას მიეყიდა 126,2 მილიონ მანეთისაზე მეტი საქონელი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. საქონელბრუნვა მთელ რესპუბლიკაში 9,3 პროცენტით გაიზარდა.

წელს რესპუბლიკის სავაჭრო ქსელი მნიშვნელოვნად გაფართოდა. ახალი მაღაზიებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მშენებლობასთან ერთად მიმდინარეობს მოქმედი მაღაზიებისა და საწარმოების რეკონსტრუქცია. ბევრ მათგანს რემონტის შემდეგ ძნელად თუ გამოარჩევთ ახლებისაგან.

იცვლება აგრეთვე ვაჭრობის თვისებრივი მხარე. მაღაზიების უმრავლესობა ფართოდ იყენებს მომსახურების ახალ, მყიდველებისათვის მოხერხებულ ფორმებს. შესაძენელად შეიცვალა აგრეთვე მაღაზიების, სასადილოებისა და რესტორნების იერი, გაჩნდა ლამაზი ფირნიშები, გამშვენიერდა ვიტრინები, გალამაზდა დარბაზები. ვაჭრობის საწარმოთა განახლება დამთავრდება დღესასწაულისათვის.

ვაჭრობის მუშაკები ისწრაფვიან დამკვრელური შრომით აღნიშნონ დიდი ოქტომბრის 52-ე წლისთავი, შესარულონ ნაკისრი ვალდებულებანი, გააფართოონ სფერო მომსახურებისა, რასაც მოსახლეობას უწევენ. ამ მიზნით იზრდება საქონლის მიტანა შინ, წინასწარი შეკვეთების მიღება. შეკვეთების მაგიდები იქმნება ვაჭრობის ყველა მსხვილ საწარმოში.

მაღაზიებში მიღებულია ლამაზ კოლოფებში შეფუთული შამპანურის 4 ათასი ნარჩევი, 14 ათასზე მეტი ბოთლი ლიქიორი კერამიკის ჭურჭელსა და კალათებში. ყოველდღე მოდის სასურსათო მაღაზიებში ძეხვეული და ხორცი. შემოზიდულია დიდძალი ფრინველი, თევზი, კონსერვი, ახალი ბოსტნეული, კარტოფილი, ხილი. ტორტის, ნამცხვრის, კულინარული ნაწარმის ფართო ასორტიმენტს სთავაზობენ მყიდველებს გაყიდვა-გამოფენები, რომლებიც სასადილოებისა და რესტორნების ტრესტებმა მოაწყვეს.

საწყობების, მაცივრებისა და ტრანსპორტის მუშაობა დაგეგმილია იმ ვარაუდით, რომ უზრუნველყოთ საკვები ქსელის შეუფერხებელი მომარაგება სასურსათო და სამრეწველო საქონლით.

თბილისის რესტორნებში „საქართველოში", „რუსთაველი", „ისიდეში", „ბუდაპეშტში", აგრეთვე რესპუბლიკის საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოებში მოეწყობა საოჯახო და ამხანაგური საღამოები. რესტორნები მსურველთ მისცემენ ყველაფერს, რაც საჭიროა შინ სუფრის გასაწყობად, მიიღებენ კერძების დამზადების შეკვეთებს.

წინასაღდესასწაულო დღეებში თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის, რუსთავისა და სხვა ქალაქების სამრეწველო საქონლის მაღაზიებში მიღებულია დიდძალი შალეული და ტრიკოტაჟის ნაწარმი და ფეხსაცმელი. პარფიუმერიულ-კოსმეტიკური საქონელი, სხრ კავშირის საუკეთესო ფირმებისა და საწარმოების საგალანტერეო ნაწარმი. საკავშირო ორგანიზაციები ამ ბოლო დროს უფრო აქტიურად ახდენენ ზეგავლენას წარმოებაზე, იცავენ მომხმარებლის ინტერესებს. ფართოვდება და მტკიცდება უშუალო კავშირი ფაბრიკებსა, ქარხნებსა და დიდ მაღაზიებსა და საკავშირო ორგანიზაციებს შორის.

დაწესებულია დღესასწაულისა და წინასადღესასწაულო დღეებში საკავშირო საწარმოთა მუშაობის რეჟიმი. 4, 5 და 6 ნოემბერს სასურსათო მაღაზიები იმუშავებენ 24 საათამდე, სამრეწველო საქონლის მაღაზიები — 21 საათამდე. 7 ნოემბერს ვაჭრობა იწარმოებს პურისა და ორცეულიან სასურსათო მაღაზიებში. სამრეწველო საქონლის მაღაზიები 7 და 8 ნოემბერს არ იმუშავებენ. ბაზრები და ბაზრობები ყველა დღეს გახსნილია.

დემონსტრანტებისა და სახალხო სეირნობის მონაწილეთათვის ეწყობა ფართო დაკმაყოფილებითი ვაჭრობა. (საქდისი).



გ. მუხაძის სახელობის ბემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. სურათზე: მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ციალა ჩინჩალაძე (მარცხნივ) პრეპარატების დამზადების მეთოდიკას უხსნის ლაბორანტ თინა ჩიქოვანს. ფოტო ა. სააკოვისა.

ნიაგზლეთა ეკრანი

საიუბილეო მედალი და გუკლეტი

ჭიათურა. (საკ. კორ.). ქართული მარგანეცის საბადოს დამუშავების 90 წლისთავის აღსანიშნავად გამოშვებულია საიუბილეო სამახსოვრო მედალი წარწერით: „ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის 90 წლისთავი". მედალზე გამოსახულია მაღაროში შესასვლელი, მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკა და საჰაერო-საბაგირო გზა.

გამოვიდა აგრეთვე სამახსოვრო ბუკლეტი — „ჭიათურა — ქართული მარგანეცის ქალაქი", რომელშიც მოთავსებულია ღირსშესანიშნავი ადგილებისა და ისტორიული ძეგლების ფერადი ფოტოები.

მხატვრული ბუკლეტის ტირაჟი 30 ათასი ცალია. იგი დაიბეჭდა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ახალი საკოლმეურნეო ბაზარი

2 ნოემბერს თბილისში გაიხსნა რესპუბლიკაში ყველაზე დიდი საკოლმეურნეო ბაზარი. ახალი ბაზრის საერთო ფართობი 24 ათას კვადრატულ მეტრს უდრის. აქ განლაგებულია 1.500 სავაჭრო ადგილი. ბაზრის ტერიტორიაზეა 200 ტონა ტევადობის სამაცივრო დანადგარი და „პინგვინის" ტიპის მაცივრები, მძლავრი სატვირთო ლიფტები და სხვ.

საკოლმეურნეო ბაზრის პირველი სართული განკუთვნილია ბოსტნეულისათვის. მეორე სართულზე იყიდება ხორცი, რძის პროდუქტები, დაკლული ფრინველი, ხილი.

ბაზრის გახსნის დღეს აქ საქართველოს თითქმის ყველა რაიონიდან ჩამოვიდნენ კოლმეურნეები, რომელთა განკარგულებაშია კომფორტული სასტუმრო, დედათა და ბავშვთა ოთახი, სასადილო და საჩაიე. აქვე გაიხსნა ორი ავტოსადგომი, რომელთაგან ერთი მომმსახურება სატვირთო ავტომობილებს, მეორე — მსუბუქ ავტომანქანებს.

სურათზე: ახალ საკოლმეურნეო ბაზარში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მატჩი ბაქოში

„ნეფტჩი" (ბაქო) — „დინამო" (თბილისი) 1:1 (0:0). ბაქო 3 ნოემბერი. ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონი. მსაჯი — ვ. რუდნევი (მოსკოვი).

„ნეფტჩი" — კრამარენკო, კულიევი, ბრუსტი, ი. ბაბაევი, ტროფიმოვი, შირზოევი, რასმანოვი, შევჩენკო (ეინულაევი), აბდულაევი, სმოონიკოვი, სტეკოლნიკოვი; „დინამო" — ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, რეხვიაშვილი, პეტროიანოვი, ილიადი (კუტიავაძე), ასათიანი, ბავაშელი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

□

თუ გუშინდელი შეხვედრის შედეგს ბაქოელთა სატურნირო მდგომარეობაზე არსებითი გავლენის მოხდენა არ შეეძლო და მატჩი უფრო პრესტიჟის ხასიათისა იყო, დინამოელთათვის, როგორც ბრინჯაოს მედლების მთავარი პრეტენდენტებისათვის, მას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

დასაწყისი მასპინძლებს კარგს არაფერს უქადდა, თბილისელები მოქმედებდნენ ინიციატივიანად და თამაშიც მეტწილად „ნეფტჩის" კარის მისადგომებთან სწარმოებდა. ასე გაგრძელდა 20 წუთს. ამის შემდეგ კი ბაქოელებს 21-ე, 24-ე და 26-ე წუთზე დინამოელთა კარის აღების რეალური შანსები ჰქონდათ, მაგრამ ეს მომენტები გამოუყენებელი დარჩა.

ფეხბურთელები დასასვენებლად ისე წავიდნენ, რომ ანგარიში არ გაუხსნიათ.

მეორე ნახევრის მე-4 წუთზე მასპინძელთა ერთ-ერთი შეტევა გოლით დაგვირგვინდა. ბურთი აბდულაევმა გაიტანა. სტუმრებს დამარცხება ეშურებოდათ, ამიტომ ისინი მთლიანად იერიშზე გადავიდნენ და 68-ე წუთზე, როდესაც კრამარენკომ კარი ღიად დატოვა, შორი მანძილიდან მოედანზე ახალშემოსულმა კუტიავაძემ წონასწორობა აღადგინა — 1:1. ეს ანგარიში არ შეცვლილა — ფრე.

დუბლიორთა მატჩში წარმატება თბილისელებს ხვდათ 2:0. ორივე ბურთი მაჩაიძემ გაიტანა.

ლიდერებმა თითო ქულა დაკარგეს

მოსკოვის „სპარტაკი" თუ კიევის „დინამო"? მართლაც, ჯერ კიდევ გაურკვეველია თუ ვინ იქნება მათ შორის ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ფეხბურთში. ყველაფერი დამოკიდებულია ფინიშზე, ბოლო მატჩებზე.

გუშინ კი ამ გუნდებს მეტად პასუხსაგები შეხვედრები ჰქონდათ — სპარტაკელებს მოსკოვში არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდთან, კიევის დინამოელებს კი ლენინგრადში — „ზენიტთან".

მოსკოვის მატჩში შეხვედრის ბედი გადაწყდა პირველ ტაიმში. 33-ე წუთზე ანგარიში არმიელმა ფედოტოვმა გახსნა, ხოლო ერთი წუთიც არ იყო გასული, რომ სილაგაძემ წონასწორობა აღადგინა. საბოლოოდ ფრე — 1:1.

ასეთივე ანგარიში (1:1) იქნა ფიქსირებული ლენინგრადში „ზენიტისა" და კიევის „დინამოს" გუნდების შეხვედრაში. აქ ანგარიში კიეველებმა გახსნეს, მაგრამ ლენინგრადელებმა შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა — აქაც ფრე.

მოსკოვის „სპარტაკისა" და ცსკა-ს მეორე მატჩი 6 ნოემბრიდან გადატანილია 10 ნოემბრისათვის, ხოლო კიევის „დინამოსა" და ლენინგრადის „ზენიტის" შეხვედრა შედგება 6 ნოემბერს.

რიგის რინგზე

რიგის რინგზე დამთავრდა საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა მოკრივეთა ჩემპიონატი. პირველობაში მონაწილეობდა მოკრივეთა რეკორდული რიცხვი — 230 — თვრამეტი-ცხრამეტი წლის სპორტსმენი. საინტერესოა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩემპიონატის გამარჯვებულთა წარმომადგენლობა. მათ შორის, მაგალითად, არიან ტაშკენტელი ალიკლი, დაუგავპილსელი სტანისლავ შაპკინი, ორსკელი ევგენი გორსკოვი, დონისროსტოველი ვიქტორ ულიანიჩი. (საკდისი).

პირველია ულმანი, შემდეგი კი?..

ვენა, 3 ნოემბერი. (საკდისი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) გაიმარჯვა აქ მიმდინარე ზონალურ ტურნირში, მოიპოვა ჭადრაკში მსოფლიოს პირველობისათვის ბრძოლის მომდევნო ციკლში მონაწილეობის საგზური. მეოცე ტურში თუმცა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ჩეხოსლოვაკიელ სმეიკალთან, მაგრამ ფინიშამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდა პირველი ადგილი. 15 ქულა 20 შესაძლებელში. ორი დანარჩენი ვაკანსიის პრეტენდენტები არიან: ანდერსონი (შვეცია) — 13 ქულა, სმეიკალი და პორტიში (უნგრეთი) — 12,5-12,5 ქულა და თითო გადადებული პარტია.

გათამაშების ცხრილი

I—XIV ადგილები

მდგომარეობა 4 ნოემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი" (მ.)	25	18	5	2	39—11	41
„დინამო" (კ.)	23	15	6	2	31—9	36
„დინამო" (თბ.)	24	11	10	3	30—15	32
„დინამო" (მ.)	26	12	7	7	44—28	31
„ტორპედო" (მ.)	26	11	9	6	29—19	31
ცსკა	24	10	8	6	19—13	28
„ნეფტჩი" (ბ.)	26	6	11	9	26—27	23
„ზენიტი" (ლ.)	25	6	9	10	21—30	21
„ჩერნომორეცი" (ო.)	26	7	7	12	17—26	21
„შახტიორი" (დ.)	26	6	8	12	20—28	20
„ზარია" (ლუგ.)	26	5	9	12	21—30	19
სკა (როსტ.)	26	6	7	13	23—37	19
„დინამო" (მნ.)	25	5	8	12	14—31	18
„ტორპედო" (კ.)	26	4	6	16	20—50	14



დარჩა სამი ტური

ქალთა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი გორში ფინიშს უახლოვდება. კვირას მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. პირველი დამარცხება „ვინიცადა ე. რუბცოვამ, რომელსაც ფაქტიურად უიმედო პოზიცია ჰქონდა ბ. ვილერტესთან გადადებულ პარტიაში. ნ. კონოპლიოვამ მოუგო ლ. კრისტოლს, ამ უკანასკნელმა კი ლ. შადურას. ზატულოვსკაიასა და მ. შულის პარტიაში მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ.

გუშინ გაიმართა მორიგი, მეთექვსმეტე ტური.

ალექსანდრიამ დაამარცხა ვილერტე, ხუკაშვილმა — კაცკოვა, ზვორიკინამ — სემინოვა, ანდრეევამ — რანიკუ, იგნატიევამ — შული. რუბცოვა-კონოპლიოვა ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

16 ტურის შემდეგ ალექსანდრიას 13,5 ქულა აქვს, რუბცოვასა და კონოპლიოვას — თერმეტნახევარ-თერმეტნახევარი ქულა.

დღეს გაიმართება მე-17 ტური.

კიდევ ერთი ოქრო

თ. კაკულია — სსრ კავშირის ჩემპიონი

კვირას ტაშკენტში დიდ ჩოგბურთს ფინიში ჰქონდა. ეს ასპარეზობა 17 დღეს გრძელდებოდა და გამოირჩეოდა შეუპოვარი ბრძოლებით. სასიხარულოა, რომ აღიარებულ ოსტატებთან ერთად პრიზიორთა რიგებში არაერთ ახალგაზრდა ჩოგბურთელს ვხედავთ.

უკანასკნელი აკორდი შერეულ წყვილთა კვირის ასპარეზობა იყო. საერთო მოწონება დაიმსახურა მ. ჩუვირინასა და თბილისელი თ. კაკულიას თამაშმა. მათ ფინალში დაამარცხეს გ. ბაკშეევასა და ვ. ეგოროვის ძლიერი წყვილი ანგარიშით 6:3, 6:2 და სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვეს.

ამრიგად, ჩემპიონატი ტაშკენტში ჩვენი თანამემამულეთა, პირველ რიგში ა. მეტრეველისა და თ. კაკულიას ტრიუმფით აღინიშნა, ისინი სამშობლოში ოქროს მედლებით ბრუნდებიან.

• • •

სურათზე: სსრ კავშირის ჩემპიონი შერეულ წყვილთა შორის თ. კაკულია.

ასპარეზოგათა პანორამა

● კვირას პიატიგორსკში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება მოტორბოლაში. ჩემპიონი 250 კუბური სანტიმეტრის მანქანებით ასპარეზობაში გახდა ვ. პოგრებანიაკი, 350 კუბური სანტიმეტრის მანქანებით — ა. შინკარენკო.

● დამთავრდა მატჩ-რევანში მსოფლიოს პირველობაზე ასეჯრედიან შაშში ა. ანდრეიკოსი და ი. კუპერმანს შორის. შეხვედრის საბოლოო შედეგია 11,5:8,5 ა. ანდრეიკოს სასარგებლოდ. კვირას საზეიმოდ დაიხარა მატჩი. მსოფლიოს ჩემპიონმა ა. ანდრეიკოს გადაეცა ოქროს მედალი.

● სოფში ფინიში ჰქონდა საკავშირო ჩემპიონატს მძლეოსნურ მრავალჭიდში. ათჭიდელთა შორის უძლიერესი იყო ვ. შჩერბატიხი, რომელმაც 7.807 ქულა შეაგროვა. ხუთჭიდელთა შორის ჩემპიონი გახდა ვ. ტიხომიროვა — 4.838 ქულა.

● მოსკოვში ამოიწურა სსრ კავშირისა და იაპონელ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო შეჯიბრება. ქალთა შორის ნებისმიერი ვარჯიშები ჩინებულად შეასრულა 15 წლის გროდნოელმა მოსწავლე ო. კორბუტამ და 74,85 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. ვაჟთა შორის, როგორც ადრინდელ შეხვედრებში, აქაც პირველობა არავის დაუთმო იაპონელმა ე. კეიმოცუმ — 114,5 ქულა.

● ლენინგრადში გრძელდება საერთაშორისო შეჯიბრება კალათბურთში. ვაჟთა გუნდების ასპარეზობაში გაიმარჯვა „სპარტაკის" გუნდმა, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში დაამარცხა ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი 93:70.

საჭადრაკო თბილისი დაფნა და ოქრო

სალო ფლორი

სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატის შედეგები თითქმის ცნობილია. თითქმის — იმიტომ, რომ დამატებით კიდევ უნდა გათამაშდეს ექვსი პარტია ოქროს მედლისათვის ლ. პოლუგაევსკისა და ტ. პეტროსიანს შორის.

მაგრამ ზუსტად ცნობილია, რომ ოთხ მეზავრს შეუძლია ჩაალაგოს ჩემოდანი საზონათაშორისო ტურნირზე წასასვლელად, რომელიც ესპანეთში გაიმართება 1970 წელს. ამ კვარტეტიდან ერთი — ლ. პოლუგაევსკი შედარებით ახალგაზრდაა. მაგრამ ე. გელერსს, ვ. სმისლოვსა და მ. ტალიანოვს ხშირად ვეტერანებს უწოდებენ. სმისლოვს (არ ეწყინოს კი) ასე იმიტომ უწოდებენ, რომ სადაც არის 50 წელი შეუსრულდება, გელერსსა და ტალიანოვს კი იმიტომ, რომ ორმოცზე მეტისა გახდნენ. აქვე რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ ტალიანოვზე, რომელმაც ტურნირის შემდეგ გადაწყვიტა თავისი წარმატების „საიდუმლო". ტურნირის დაწყებამდე ცოტა ადრე მას ფიზსაცმელი მიუბარებია შესაკეთებლად. „ტალიანოვი, ტალიანოვი?" — უკითხავს მიმღებს. „ჩვენში ოდესღაც იყო ასეთი მოჭადრაკე". სწორედ მაშინ გადაუწყვეტია ტალიანოვს, რომ გაეხსენებინა თავისი თავი. იმედია, მიმღები ახლა იტყვის, რომ ტალიანოვი კიდევ ცოცხალია!

ახლა სიტყვა ეკეთვინთ ჩვენს მოჭადრაკე ქალებს. მათთანაც ასეთი კონფლიქტია: ბრძოლა ოქროს მედლისათვის და საზონათაშორისო ტურნირზე წასასვლელად სამი საგზურის შეძენისათვის. ბორის ჩინებულ დრამატულ თეატრში დიდი გატაცებით ვადევნებდი თვალს ოქროს 20 მაძიებლისა და საზონათაშორისო ვაგონში პლაცკარტის მიღების მსურველი 18 მოჭადრაკე ქალის თამაშს. თვრამეტისა იმიტომ, რომ ვ. კოზლოვსკაიასა და ტ. ზატულოვსკაიას ეს უფლება უკვე აქვთ.

ცნობილია, რომ დასვენების სახლში ან სანატორიუმში ჩვეულებრივად 4-დან 5-დე მკვდარი საათია. ბორის სასტუმრო „ინტურისტში" გაგვიოცა ფირფიტამ წარწერით: „დაიცავით სიწყნარე! მოჭადრაკე ქალები ისვენებენ!" — ეს ფირფიტა მოწმობს ორგანიზატორთა სტუმართმოყვარეობას, დიდ პატივისცემას ჩვენი მოჭადრაკე ქალების მძიმე შეზომქედებითი შრომისადმი. მაგრამ ნამდვილად ისვენებენ კი მოჭადრაკე ქალები? ვინც ჩემპიონატის შრომითს დღეს, რეგლამენტს საჭადრაკო ტურნირის „სამზარეულოს" იცნობს, მან ჩინებულად იცის, რომ ხშირად მოჭადრაკეებს „დასვენებისათვის" არა სცალიათ". რამდენი საათი სპირდება პარტიისათვის მზადებას, თვით პარტიას, შემდეგ გადადებული პარტიის ანალიზს, ბუმბარიტების დადგენას: რატომ მოიგე, რატომ წააგე, რატომ შეგიშალა და ყაიმი დაუშვი და სხვ. და ა. შ. როგორ დაიძინებ?

ამიტომ მოჭადრაკეების მიერ ოკუპირებულ სასტუმრო „ინტურისტში" სამიე სართულზე საჭადრაკო ციციცხელებია არ ნელდება, ბევრ ოთახში კი ზუსტი საჭადრაკო დახვეწა მიმდინარეობს.

აქ მთელ „საჭადრაკო ბრიგადებს" ნახავთ. თვითეულ მოჭადრაკე ქალს ჰყავს სპეციალური სეკუნდანტი — მწვრთნელი — უფრო ხშირად მამაკაცი-ოსტატი და ძალიან სანდაზმული გროსმაისტერიც კი. გორში რომ ჩავხვალ და ი. ბონდარევსკისა და ი. ბოლესლავსკის დაინახავ, შეიძლება იფიქრო, რომ ჯერ კიდევ მოსკოვში ხარ — ესტრადის თეატრში სპასკი-პეტროსიანის მატჩზე.

ნანა ალექსანდრიას ჰყავს ერთგული მწვრთნელი ბუზუტი გურგენიძე. ნანას თამაშისათვის ყველა ღელავს, მაგრამ მეტადრე დედ-მამა.

ძალიან ძლიერია ლენა რუბცოვას — ნამდვილი საჭადრაკო ოჯახის შვილის ბრიგადა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ოლგა რუბცოვა გათხოვილი იყო ოსტატ ი. მაზელზე, რომელიც 1943 წელს დაიღუპა. ოლგა რუბცოვას მეორე ქმარი ჭადრაკის ოსტატია — ა. პოლიაკი. ოლგა ნიკოლოზის ასული გორში მთავარი არბიტრის მოადგილეა და წესების თანასმად თავის ქალიშვილოან ერთ ოთახში ცხოვრების უფლებაც კი არა აქვს. მაგრამ შესვლა, რა თქმა უნდა, აკრძალული არ არის. ლენა რუბცოვას მწვრთნელია მისი ძმა მიშა.

მაგრამ დროა შევიხედოთ დრამის თეატრში. ყველაზე მორთულ სცენაზე 10 მაგიდას ჩაფიქრებულნი უსხედან ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მოჭადრაკე ქალები. სცენის ცენტრში თამაშობენ ჩემპიონატის ლიდერები — ნანა ალექსანდრია და ლენა რუბცოვა. უნდა ვთქვა, რომ ქალთა ტურნირის გარეგნული სახე, რასაკვირველია, უფრო ლამაზია, ვიდრე ვაჟთა ტურნირისა. თვალში გეცემათ, რომ 20 მონაწილიდან ნახევარი ქერაა და ნახევარი შავგვრემანი და, რომ თუ არ ვცდები, მხოლოდ ერთი ქუჩა თამბაქოს — შაფურა. ვაჟები ამ მხრივ მაგალითს უნდა იღებდნენ ქალიშვილებისაგან. თამბაქოს ყვავ დანამდვილებით მაგნეა. თვალში გეცემათ, რომ მოჭადრაკე ქალები ყველანი ახალგაზრდები არიან. განა გავბედავ ვთქვა, რომ მათ შორის ჭადრაკის ვეტერანებიც არიან? არავითარ შემთხვევაში.

როგორ არ გავიხსენო ბ. კერესის ცნობილი თქმა, ქალები ჭადრაკში მამაკაცებს ჩამოუვარდებიან იმიტომ, რომ ქალს ვერ აიძულებ ხუთი საათის განმავლობაში დუმდეს! სულაც არა. ჩამოვიდეს ბ. კერესი გორში და დაწმუნდება, რომ ჩვენი მოჭადრაკეები დიდი დაძაბულობით თამაშობენ და ზედმიწევნით იკავებენ მსაჯთა კოლეგიის იმ წესს (თუ რჩევას), რომ თამაშის დროს ერთმანეთთან ლაპარაკს ერიდონ.

იყო ერთხელ მამაკაცთა ჩემპიონატიც, რომელშიც მონაწილეებს სოხუმის სიჩუმე დაეკვეთა. არაფერი არ გამოვიდა.

ცხადია, ქალები ცდილობენ ბევრ რამეში აიღონ მაგალითი მამაკაცებისაგან, არა მარტო ჭადრაკში, არამედ. ზოგიერთ ცხოვრებისეულ საკითხშიც. ეს, რა თქმა უნდა, სწორია და ადვილად გასაგებიც არის. საკმარისია ერთხელ შეხედოთ დაფას, რომელზეც ნანა ალექსანდრია თამაშობს, რომ დარწმუნდეთ — ნანას ჩინებულად შეუსწავლია მ. ბოტვინიკისა და ტ. პეტროსიანის ჩვენები. ჭადრაკის მაგიდაზე ნანას მარცხნივ თერმოსი უდგას. თუ რას სვამდნენ ბოტვინიკი და პეტროსიანი, ეს დღემდე, ვგონებ, საიდუმლოებაა. მაგრამ ნანას თერმოსში, დარწმუნებული ვარ, ქართული ჩაი იყო, სწორედ ჩაი, ფინჯანიდან ფინჯანზედ ორთქლი ამოდიოდა. თერმოსიდან ჩაის სმა არცთუ დიდი ხელოვნებაა. ნანას მ. ბოტვინიკისაგან ვადმოუღია სხვა, უფრო მნიშვნელოვანი ჩვევა. ცნობილია, რომ მ. ბოტვინიკი დაფასთან დაძაბულად შრომობს და ძალიან იშვიათად თუ ადგება. ყოჩაღ ნანა! იგი ყოველ პარტიაში არა მარტო თამაშობს, არამედ პატიოსნად, ბეჯითად, გულმოდგინედ, „ბოტვინიკისებურად" მუშაობს. მაშინ თუ ადგება, როცა პოზიცია კარგი აქვს ან მეტოქე მალე შეიძლება დანებდეს.

ჩემპიონატი დიდ ინტერესს იწვევს გორში და თეატრი გაჩენილია ხალხით. ცხადია, ყველანი ალექსანდრიას „გულშემატკივრები" არიან. აბა როგორ არ უნდა იყო სწორედ ნანას „გულშემატკივარი"! იგი ახალგაზრდაა, სიმპათიური, თავმდაბალია ყოველ თავის მოძრაობაში, მოხდენილად ზის დაფასთან და გრაციოზულად მოძრაობს სცენაზე. ნანა საგულებით შესაფერი ფიგურაა, რომ არა მარტო საჭადრაკო ტურნირის, არამედ სილამაზის კონკურსის შემადგენლობაც დაამშვენოს!

საოცარია, წარმოუდგენელია, რომ ასეთი საყვარელი, მორიდებული ქალიშვილი, როგორიც ნანაა, ჭადრაკის დაფაზე ასე „მკაცრად" ეპყრობა თავის მეტოქეებს.

შაბათს ნანას მორიგი მსხვერპლი იყო პედკო. ნანას იერიშში მიჰქონდა გამანადგურებელი ძალით და, ყოველივე სხვას გარდა, პედკო სასტიკ ციხტოტში მოექცა (მის პოზიციაში კი ბევრი დროც ვეღარ უშვილიდა). მაგრამ, შესაძლოა, ამ სიტუაციაში პეტროსიანის ჩვენებანი ეფიქრა. ეს ალბათ ასეთი: ნანა ალექსანდრია ბევრ ფიგურას ალექსანდრიას ანალიზებს,